# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 8 აგვისტო, 2012 წელი.

№150 (7026)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცყუილობით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# ომი, რომელიც არ უნდა დაწყებულიყო!

2008 წლის აგვისტოს ომიდან ოთხი წელი გავიდა. ამ ომში, რომელიც არ უნდა დაწყებულიყო, დაიღუპა საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო პირი, 14 პოლიციელი. დაკარგულად მიიჩნევა 8 ჯარისკაცი. სახლები დატოვა თითქმის 150 ათასმა ადამიანმა. მათგან დღემდე დევნილობაში რჩება 30 ათასამდე...

6-7





## ამას მართლა თავისი სახინკლე ჰგონია ეს ქვეყანა!..



3

## „გადაგდებულები“, ანუ აღარ გაუმართლათ მიშნაცებთან ჩახუტებამ

## „ქართული ოცნების“ აქტივისტი უშიშროების სამსახურის უფროსმა სასაფლაოზე მიიყვანა და დაემუქრა

4

## ნახევარი მილიონი ხმა მმართველ პარტიას ჯიბეში უდევს

4

## ზაფხული — გართულებების გარეშე

11



ბრიფინგი

# ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუშალოს „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნო კამპანიაში

**კოალიცია „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ 2008 წლის აგვისტოს ომს ყველაზე დიდი ტრაგედია უწოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. 7-8 აგვისტოს არც „ქართული ოცნება“ არ გეგმავს რაიმე განსაკუთრებულ მასობრივ ღონისძიებას.**



**„ხელისუფლებას მოვუწოდებთ, ამ ორი დღის განმავლობაში შეინარჩუნოს სრული დუმილი და ამ მხრივ მაინც მოიბოდიშოს იმ უბედურებისთვის, რაც მათი უგუნური პოლიტიკის გამო ქვეყანას თავს დაატყდა“,** — განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე მაია ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ერთგულებას სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ძირითადი პრინციპებისადმი, მათ შორის საარჩევნო კამპანიისა და არჩევნების შედეგების დადგენის პროცესში ძალადობრივი და ანტიკონსტიტუციური ქმედებების დაუშვებლობისადმი.

**„ამ სულისკვეთებიდან გამომდინარე კოალიცია უპირობოდ შეუერთდა სამოქალაქო საზოგადოების მიერ 16 ივლისს შემოთავაზებულ 17-პუნქტიან დოკუმენტს, მასში მოცემული პრინციპებისა და ქცევის წესების დაცვის ვალდებულება აიღო. ამასთან, კოალიცია „ქართული ოცნება“ შეშფოთებულია მმართველი პარტიის მხრიდან ამ ქცევის წესების სისტემური დარღვევით — ბოლო დღეებში აჭარაში კვლავ აღინიშნა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებისა და ახალგაზრდების დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართვის მცდელობა. მივმართავთ ქართულ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, დროულად და სრულყოფილად შეისწავლონ ზემოხსენებული ფაქტები და მომხდარი ობიექტურად შეაფასონ. მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან და ჩვენს ხელთ არსებული სრული ინფორმაცია მივაწოდოთ“,** — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, ფოთის რეგიონალური ხელმძღვანელი, „მრეწველების“ წევრი ჯემალ მიგინეიშვილი ბორკილებით ჩამოიყვანეს თბილისში. „მას ბრალად ედება, რომ 10 ათასი ლარი შეიტანა პარტიის ანგარიშზე. იგი დააპატიმრეს და დღეს არის სასამართლო. „მრეწველების“ წევრის ვახტანგ ლოლაძის კიდევ ერთი სასამართლო გაიმართება. მან 1000 ლარი შეიტანა პარტიის ანგარიშზე. ეს ტენდენცია გრძელდება. ახლა უკვე იმ პირებს აპატიმრებენ, რომლებმაც პარტიის ანგარიშზე შემოწირულობა შეიტანეს, და ესეც მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება — ხელი შეუშალონ „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნო კამპანიაში“, — დასძინა ფანჯიკიძემ.

პრესსპიკერის თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ ჯერჯერობით მხოლოდ 68 მაჟორიტარი დაასახელა. შესაძლებელია, მუშაობის პროცესში რომელიმე მაჟორიტარს სხვა ფუნქცია დაეკისროს და მან გადაინაცვლოს სიაში, ხოლო მის მაგივრად სხვა დაინიშნოს.

**„როგორც სიების, ისე მაჟორიტარების სიების წარდგენის ვადები არჩევნებამდე 30 დღით ადრეა. ჩვენ ძალიან ადრე დავიწყეთ ეს პროცესი და ამ პროცესში მუშაობის დინამიკაში, შესაძლოა, ცვლილებები იყოს. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე ამ გუნდს ტოვებს, ან რაღაცის გამო საერთოდ არ იქნება ჩვენთან. ეს, შესაძლოა, მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტულ მაჟორიტარს რაიმე სხვა ფუნქცია დაეკისრება“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ, თუმცა იქვე დასძინა, რომ კონკრეტულად ვალერი გელაშვილთან დაკავშირებით ცვლილებებზე ვერაფერს იტყვის.

შეკითხვაზე, იცის თუ არა „ქართულმა ოცნებამ“ აგვისტოს ომის შემდეგ მიღებული 4,5 მილიარდი კრედიტიდან რამდენი და რაზე დაიხარჯა, მაია ფანჯიკიძემ უპასუხა, რომ საქართველოს ბიუჯეტიდან ამა თუ იმ სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა-არხარჯვის საკითხი, რასაკვირველია, „ქართული ოცნების“ ყურადღების ცენტრშია. თუმცა კონკრეტულად ამ 4 მილიარდს ეს არ ეხებაო.

„კონკრეტულ პასუხს, თუ რაში დაიხარჯა ეს ფული, ვერ გაგცემთ. ხშირად ჩვენი ეკონომისტები, როდესაც აინტერესებთ რაიმე კონკრეტული თანხის განკარგვის დეტალები, აწყდებიან პრობლემებს, რადგან ყველაფერი გასაჯაროებული არ არის. შეძლებისდაგვარად, ცდილობენ, ამ თანხებს მიაკვლიონ.

**კითხვა: „ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ სააკაშვილმა შემოიყვანა საქართველოში რუსეთის ჯარი. რა პასუხს გასცემთ ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც იციან, რომ მათ რუსეთის ჯარმა დაუწვა სახლები, საყვარელი ადამიანები დაუხოცა. ეს მოიმოქმედა იმ ჯარმა, რომლის პრეზიდენტსაც ბიძინა ივანიშვილი ოკუპანტს არასოდეს არ უწოდებს“...**

**„ბიძინა ივანიშვილი, კოალიცია „ქართული ოცნება“, მისი ყველა ლიდერი და მათ შორის მეც ვამბობთ, რომ რუსეთი ოკუპანტია, რუსეთმა დაიპყრო საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი, რომელმაც გახსნა საელჩოები სოხუმსა და ცხინვალში, რომელიც არღვევს ყველა საერთაშორისო ნორმას, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებებს, და იმ ხელშეკრულებას, რომელზეც მან ხელი მოაწერა სარკოზისთან ერთად, არ იცავს მას. ეს არის ქვეყანა, რომელიც არ უშვებს აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორიაზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, არღვევს ყველა საერთაშორისო ნორმას, ყველა სტანდარტს, და აღიარებული აქვს საქართველოს დამოუკიდებელი ნაწილი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნები“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ.

პრესსპიკერმა ისიც დასძინა, რომ ძალიან ბევრი ადამიანია საქართველოში, ვინც მართლა უნდა გასცეს პასუხი იმ ხალხს, რომელსაც დაეწვა სახლები, დაეღუპა შვილები, და რომელიც გაუბედურდა, თავის სამშობლოში ლტოლვილად იქცა.

**„მე რამდენად ვარ ვალდებული, პასუხი გავცე ამ ხალხს, ეს ცოტა ვერ გავიგე. არასოდეს არ მითქვამს იმის მსგავსი რამ, რაც თქვენ გინდათ, რომ დამაბრალოთ მეც და ბიძინა ივანიშვილსაც. 2008 წელს გახლდით საქართველოს ელჩი ჰოლანდიაში და დღე და ღამე ვიცავდი საქართველოს ინტერესებს საერთაშორისო ორგანიზაციებში და ჰოლანდიის მთავრობასთან, ევროკავშირის წევრ ქვეყანაში. ასე რომ, ამ კითხვაზე პასუხი გავეცი. ჩემი ვალი მოვიხადე მაშინ, როცა ეს მევალებოდა“,** — დაასკვნა ფანჯიკიძემ.

თამარ შაიშმელაშვილი

რა ხდება?

# რატომ სცემა გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი სააკაშვილის დაცვამ?

**პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაცვის მუშტი გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელსაც მოხვდა. ამ დღეებში მცხეთაში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილის დაცვამ ცეზარ ჩოჩელი სცემა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მცხეთაში „ქართული ოცნების“ ხალხმრავალი აქცია გაიმართა.**



როგორც მცხეთაში საუბრობენ, სააკაშვილი მას შემდეგ აღშფოთებულა, რაც ბიძინა ივანიშვილს მთიულებმა, მოხევეებმა, ფშავლებმა, ხევსურებმა, თიანელებმა და ახალგორელებმა არნახული დახვედრა მოუწყვეს. როგორც ამბობენ, სწორედ ამ ხალხმრავალი აქციის დანახვამ აღაშფოთა პრეზიდენტი.

ჯავრი, რა თქმა უნდა, გუბერნატორ ჩოჩელზე იყარეს, რომელიც კარგა ხანია პრეზიდენტს არწმუნებს, რომ მცხეთა-მთიანეთში „ნაციონალების მზეს“ ფიცულობენ.

მცხეთა-მთიანეთში მსგავსი ხალხმრავალი აქცია თითქმის არავის ახსოვდა. მას შემდეგ რაც მთის დინჯი მოსახლეობა მცხეთაში ჩავიდა და საკუთარი პოზიცია გამოხატა, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები მიხვდნენ, რომ მათი საქმე მაინცდამაინც კარგად არ არის.

როგორც მცხეთაში საუბრობენ, „ქართული ოცნების“ მრავალათასკაციანი აქციის დანახვაზე სააკაშვილს უკითხავს: სად არის ცეზარ ჩოჩელი? სძინავსო?

მცხეთაში ხუმრობენ, რომ სწორედ ამ დღის შემდეგ აღარ სძინავს ცეზარ ჩოჩელს და აქტიურად ცდილობს მოსახლეობის გულის მოგებას. წინასაარჩევნო პერიოდში ხომ ყველა გუბერნატორი ხალხზე მზრუნველი და „მეტი სარგებლის მომტანია“.

პოლიტიკურ კულუარებში იმასაც საუბრობენ, რომ ცეზარ ჩოჩელს იმ ბიზნესის გაყიდვაც მოსთხოვეს, რომელიც მის სახელთან ასოცირდება. საუბარია ლუდსახარშზე „ზედაზენი“, რომლის ბიზნესი საქართველოში საკმაოდ სარფიანი და მაღალშემოსავლიანია. რამდენად მართალია ლუდის ბიზნესის გაყიდვასთან დაკავშირებული ეს ინფორმაცია სულ მალე გამოჩნდება.

იმასაც ამბობენ, რომ გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელი ვანო მერაბიშვილის კადრია და სწორედ ის მფარველობდა მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს. თუმცა, იმაზეც მიუთითებენ, რომ თუ სააკაშვილმა გუბერნატორი ჩოჩელი თვალში ამოიღო, მას ველარც ვანო მერაბიშვილი უშველის.

for.ge

ალიან-ჩალიანი

## პრესის გავრცელება ბორჯომში, ბაკურიანსა და ურეკშიც დაიწყო

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ „თავისუფალი პრესის მხარდამჭერი ორგანიზაციიდან“ აცნობეს, მეორე კვირაა, ბორჯომში ორგანიზაციის ორი სტენდი-ურიკა მუშაობს, ბაკურიანში — ორი სტენდი-ველოსიპედი და ერთი სტაციონარული სტენდი, ურეკში — ერთი სტენდი-ველოსიპედი.**

**— ჩვენ ვაგრძელებთ პრესის გავრცელების ხელშეწყობას რეგიონებში. სასიამოვნოა, რომ როგორც დამსვენებლების, ისე აქაური მცხოვრებლების მხრიდან, ბეჭდური მედიისადმი ინტერესი დიდია, — ამბობს „თავისუფალი პრესის მხარდამჭერის ორგანიზაციის“ რეგიონალური განვითარების მენეჯერი ირაკლი სამხარაძე.**

**საქართველოს კურორტებზე ჟურნალ-გაზეთების შეტანა „თავისუფალი პრესის მხარდამჭერის ორგანიზაციამ“ აჭარიდან დაიწყო.**

**დღეისთვის, ბათუმის ცენტრალურ ქუჩებსა და გარეუბნებში, მახინჯაურში, ჩაქვში, ხელვაჩაურის მიმართულებით პრესის გამავრცელებელი 15 სპეციალური ურიკა და 5 სპეციალური ველოსიპედი მოძრაობს.**

## ათენში 1100 არალეგალი დააკავეს



**საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ადგილობრივი პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად 1100 არალეგალია დაკავებული.**

**რუსული მედიის ინფორმაციით, დაკავებულთა შორის 200 პაკისტანელია. დანარჩენ არალეგალთა წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ გავრცელებულა.**

**პოლიციის მონაცემებით, გასულ შაბათ-კვირას დაახლოებით 5 000 ადამიანის დოკუმენტი შეამოწმეს.**

**დაკავებულთა შორის ვისაც არ აღმოაჩნდება ვიზები და სამუშაოს ნებართვა, უახლოეს პერიოდში ქვეყნიდან გააძევებენ.**

**როგორც ადგილობრივი მედია წერს, საბერძნეთმა არაერთხელ მიმართა ევროკავშირში პარტნიორებს, რომ დახმარებოდნენ არალეგალების შესახებ პრობლემის გადაჭრაში. ბერძენი სამართალდამცავების მიერ გავრცელებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, არალეგალთა 80% ევროკავშირის ტერიტორიაზე სწორედ საბერძნეთის გავლით ხვდება.**

**ზოგიერთი ბერძენი პოლიტიკოსი მთავრობას მოუწოდებს, იმიგრაციის შესახებ კანონმდებლობა გაამკაცროს.**

ინტერპრესნიუსი

პრესკონფერენცია

# მაჟორიტარების საკითხზე შეთანხმდნენ

**პარტია „თავისუფალი საქართველო“, „ტრადიციონალისტთა კავშირი“, „თეთრები“ და „მონარქისტული პარტია“ მაჟორიტარობის კანდიდატების საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარემ კახა კუკავამ განაცხადა.**



მისი თქმით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „მონარქისტები“ დაასახელებენ თავის მაჟორიტარობის კანდიდატებს და „თავისუფალ საქართველოსა“ და მის პარტნიორებთან ერთად ჩაირთვებიან პრაიმერში.

პრესკონფერენციაზე კახა კუკავამ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, შეთანხმდნენ საერთო მაჟორიტარულ კანდიდატებზე.

— აუცილებელია, მოხდეს ერთიან მაჟორიტარებზე შეთანხმება, რათა საარჩევნო ოლქებში სახელისუფლებო პარტიას დაუპირისპირდეს ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების წინაპირობა გახდება, — აღნიშნა კუკავამ.

ინტერპრესნიუსი

◎ ფეისბუქიდან

**მეტი საქმე არ მაქვს, ჩვენი აშენებული ქვეყანა თქვენ გადმოგაბაროთ და დაგანგრევინოთ!..** – „გამოთქმა-მარგალიტი" პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ზემო აჭარაში, ბეშუმობის დღესასწაულზე სიტყვით გამოსვლისას, „წარსულის პოლიტიკოსებზე" საუბრისას გააჟღერა. მისივე თქმით, ყოველთვის არსებობენ წარსულის პოლიტიკოსები, რომლებიც აცხადებენ, რომ ძველი დრო სჯობდა.

**„ახლა, ვინც წარსულიდან თავისი „მუმიფიცირებული ხელებით" ეპოტინება ჩვენს ახალ აღმშენებლობას, ვინც ურცხვად აცხადებს, რომ თურმე ძველი დრო უკეთესი ყოფილა, ვინც ტელევიზიით ყვება, რომ თურმე ახალი კურორტები მთის დამახინჯებაა, თურმე ახალი გზები ეს არის თქვენი ავთენტურობის შეურაცხყოფა, ის ხალხი, ვინც იძახის, რომ ჩვენ უნდა დავაბრუნოთ კორუმპირებული მოხელეები, ის ხალხი, ვინც იძახის, რომ ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ძველებური ცხოვრების წესი, ის, ვინც გვეუბნება, რომ უნდა დავბრუნდეთ ძველი იმპერიული კონტროლის ქვეშ, რადგან იქ უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს, ჩვენ მათ გვინდა ვუთხრათ – უკან წასასვლელი არსად აღარა გვაქვს"!** – განაცხადა პრეზიდენტმა.

# ამას მართლა თავისი სახინკლე ჰგონია ეს ქვეყანა!..



მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, ყველაფრის დანგრევა ძალიან ძნელია, მაგრამ წარსულის პოლიტიკოსები ისეთი სპეციალისტები არიან, რომ მათ ეს არ გაუჭირდებათ: **„მაგათ ხელში რომ ჩაუგდო ჩვენი 50-სართულიანი ცათამბჯენები, შეიძლება 2 თვეში აღარაფერი დარჩეს. ნურას უკაცრავად, ჩვენ ასაშენებელი გვაქვს ახალი კურორტები, ახალი სკოლები, ახალი უნივერსიტეტები, არსებული გვაქვს გასაუმჯობესებელი. ჩვენ ჩვენს შვილებს უნდა მივცეთ საუკეთესო განათლება. ახალი საავადმყოფოები, ახალი ამბულატორიები, ყველა ხეობაში უნდა მივიდეთ კარგი გზით. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს კარგი დაზღვევა, ყველა ადამიანს უნდა შეეძლოს გააგზავნოს, საქართველოში საუკეთესო უნივერსიტეტში და უცხოეთში საუკეთესო უნივერსიტეტში",** – აღნიშნა პრეზიდენტმა.

აი, როგორი გამოხმაურება მოჰყვა სააკაშვილის ამ განცხადებას ინტერნეტში, თბილისის ფორუმზე და სხვა ვებგვერდებზე:

**ელე:** საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ქართველი ხალხის მოტყუება ძალიან ძნელია.

**ნინ:** ერმაკ, ბრავო!

**მაიკო:** ძველ დროს საჭმელი მქონდა, სამუშაო და არაფერი არ მაკლდა ჩემი ნამუშევარით, შენ, სააკიანო.... შენ გაზულუქდი ხალხის ფულებით და ჩვენც მაძღარი გგონივართ. გაანავარედე ე.წ. ელიტური კორუფცია და გვფცქვნი ხალხს უკანასკნელ კაპიკებს, გეყოფა ხალხის ყვლეფა, შენ მართლა მუმიფიცირებულო, აღარ გეყო 9 წელი, მუმიავ?

**ტორეძს:** მ.ს.-ის დღევანდელი გამოსვლაც და ეს თემაც პირდაპირი დადასტურებაა იმისა, რომ ქვეყანაში ოფიციალურად გამოცხადდა დიქტატურა...

**გიგი:** ოპოებო, თუ გაიგებთ მშვიდობიანად, ხომ კარგი, თუ არადა, ზოგიერთს ძალით მოუწევს ამისი შეგნება და გაგება....

**ანუნაკი:** ამათ თუ ტვინი უკუღმა არ ედოთ, მე ვიყო ჩიორა თაქთაქიშვილი...

**ზაგფრიდი:** ეს რო ობამას ეთქვა... ან სარკოზის, ან მერკელს, ან ვინმე ნორმალურ პოლიტიკოსს. კამბოჯას მმართველიც არ იტყოდა ამას...

**დიდგორი. გეო:** სწორედ ეგაა დიქტატორის მესიჯი...მეტი კი არაფერი....

**ელენე:** ბებია გიჭყავის! რომ იძახი, ავაშენეო -კი, ბატონო, ააშენე ზიზილ- პიპილოები! (ერს და მშიერ ხალხს რა ამითი?) მაგრამ იმას რატომ არ ამბობ, თანხები ვინ მოგცათ, სად ისესხეთ ასაშენებელი მილიარდები და რამდენმა თაობამ უნდა გამოისყიდოს თქვენ მიერ გაყიდული საქართველო? „წარსულის პოლიტიკოსი" ვინ მონათლა ამ ფრაზით? თვითონ რა დაავიწყდა, ვისი დროინდელი მთავრობის წევრი იყო და ვინ იყო მისი „გამზრდელი" მისი „პოლიტაგიტატორი?"

**კაი ერთი:** კაი ერთი... რომელ დიქტატორს გაიხსენებდი კურდღლის გულიანს? ეგ შეშინებული არსების, განწირული ხმით ბღავილია..

**უსელო:** სხვათა შორის სსრკ კონსტიტუციაში იყო მუხლი 3/6 – სსრკ წარმმართველი ძალაა კომპარტია. ახლა ჩვენ ჩვენი, მშობლიური, მე-6 მუხლი გვინდა? – საქართველოს წარმმართველი ძალაა ნაცმო და სახელმწიფო ეს მიშაა! ეს შესწორებები ჯერ არ შეუტანიათ კონსტიტუციაში?

**ენდლესი:** ქვეყანა კი არ ააშენეთ, დაანგრიეთ და თვალებში ნაცარს ნუ გვაყრი, მიშა. შენი მაინც არავის აღარ სჯერა...

**უსელო:** კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდება... ტიპური ნაცური ბალღამი. მაგ ბალღამში რომ თვითონ მოუწევთ ბანაობა, ეგ აღარ იციან...

**ძამელი:** ამას მართლა თავის სახინკლე ჰგონია ეს ქვეყანა. მდაა....... რომც მომიგოთ, მკიდიხართო.

**ვებტურა:** მოკლედ, პირდაპირ ამბობს, მკიდია, არჩევნებში ვინ გაიმარჯვებსო, მაინც არ დავტოვებ ხელისუფლებასო. სხვათა შორის, ამას უკვე ხშირად ამბობენ ნაცების გვამები. დემოკრატია მორგშია უკვე საქართველოში, ჰოდა, ვატყობ უკვე, რომ სანამ ამ მორგის აღმშენებლები თავადაც მორგში არ აღმოჩნდებიან, მანამდე ამ ქვეყანას არაფერი ეშველება.

**სონია:** მრჩება შთაბეჭდილება, რომ მიშა ვიღაცამ დააიმედა და ზურგი გაუმაგრა. ხუმრობის გარეშე. ანუ, მიეცა კარტ-ბლანში. და ტიპი დაუკრეფავში გადავიდა.ვცდები, ნეტა?

**გვასკა:** სწორედ ამ განწყობის შესაქმნელად თქვა, დარწმუნებული ვარ... წინასაარჩევნოდ, მომხრეების დასაიმედებლად. იგი ხედავს ძალაუფლების დაკარგვის საფრთხეს, ალყაშია და კედელთანაა მიმწყვდეული.... ეს შეიძლება იყოს მისი სასოწარკვეთილი პროტესტიც და ბოლო გაბრძოლებაც... იბრძვის სისხლის ბოლო წვეთამდე...

**ლიკა-ხატია:** მეც ასე მგონია, და ამ დროს განსაკუთრებით საშიშები არიან...

**ლუკა:** დასაკარგი, ნამდვილად ბევრი აქვთ; არა მხოლოდ სკამები, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაშია. გავრეკავ, თუ აღმოჩნდა, რომ „დიდი ძია სემი" კარტბლანშს აძლევს ამათ საკუთარი ინეტერესების გასატარებლად,. რაც არც თუ ისეთი ფანტასტიკის სფეროდანაა... მსგავსი რამ სერბეთში გააკეთეს. ერთი სერბი ნაცნობი ყვებოდა. მსგავსი სიტუაციაა – ერთ მუჭა ხალხს – მარიონეტულ მთავრობას და დაახლოებულ პირებს აქვს ძალაუფლება – დიდი ფული, ყვავის ელიტ.კორუფცია. ხალხი კი ღარიბია. ალბათ არა ისე, როგორც ჩვენთან, მაგრამ მაინც. მთავარია, რომ ეს მთავრობა ატარებს აშშ-ს ინეტერესებს.

**ზუზუ:** ე მიშა! შენ ხომ არ გავიწყდება, დაქირავებული ჩინოვნიკი რომ ხარ! იმუშავე – ხელფასი ხომ აიღე, ლევიც ხომ მიაყოლე, წადი რა გაა... ხალხს აღარც გვეკითხები! შენ ვინ გეკითხება, ქართველი ხალხი ვის გადააბარებს ხელისუფლებას! არჩევნებსაც აღარ ელოდები ხომ...ხოდა, შენ მოგიტყდება კაკლის ტოტიიი!..

**7 ნოემბერი:** მანამდე არ აგიდგათ გვერდები... შევარდნაძე...

ეჰ, მიშიკო, როგორ დაემსგავსე და მიუახლოვდი ფინიშს შენი გამზრდელი ედიკასავით...

**პროლოჯიძე:** გადასაბარებელი კი არა, ჯართშია ჩასაბარებელი მიხაკო, როგორც საბჭოური გადმონაშთი, 06 03-ის მატორით.

**დარკ ანგელი:** მაგარი სირობა განუცხადებია შენ პრეზოს, ჩემო დიდგორ, მაგას ვკითხავ ეხლა ზუსტად რამდენი ხანი უნდა იყოს ხელისუფლებაში. აი, ოქტომბერში ნაცმო წააგებს არჩევნებს და ამის აღიარება მოუწევთ. თუ არ მოინდომებენ აღიარებას, ავიღებთ და ამ გადაკეთებულ კონსტიტუციას ერთ ადგილას გავტენით ნაცმოძრაობასაც და ყველას, ვინც საქარველოს დაჩაგვრის ამბავში ნაცმოს გვერდზე დაუდგება, პუტინის ფარული შნირი იქნება ეს, როგორც თემურ ალასანია, ბენდუქიძე და მაგათი ლეკვები არიან თუ რიგითი გამოსირებული 500- ლარიანი ზონდერი, პატრონის ბრძანებაზე საკუთარ დედას რო მიუყვანს გასაბახებლად იმავე პატრონს. პროცესი დაიძრა და მაგას ვერაფერი შეაჩერებს... რა სიკვდილამდე ხან პრემიერი იქნება და ხან პრეზო. აი.... აგერ დამეხიოს მთელი თავისი ამალით...

**გიორგი. XX:** ძალის გამოყენებით გვემუქრები თუ რამე კანონის ფარგლებში უნდა გვცემონ, რომ გაგვაგებინონ გასაგები? ვაი შენს პატრონს, მიშა... ვაი...მალე იკნავლებს გიული..

**ბენიტო:** თუ გინდ ფორუმზე, ნაცმხარდამჭერები არიან თითებზე ჩამოსათვლელი, ისიც შემოგზავნილი პარტიული აქტივი, აი, გულწრფელად და უანგაროდ რომ ვინმე უჭერდეს მხარს ამ მართლა მუმიებს, მე პირადად არ ვიცნობ. ვფიცავარ ყველაფერ წმინდას, რაც კი გამაჩნია, თუ რამეს ვაზვიადებდე. პრეზიდენტი, რომელიც თავის გამოსვლებზე ყვითელი ავტობუსებით ახდენს „მხარდამჭერების" მობილიზებას, იქ დამთავრდა მაგის საქმე... ეს არის სირცხვილი რაც გუშინ ვნახეთ. მე მაინც ვფიქრობ, რომ დაახლოებით სექტემბრის დასაწყისიდან ხალხი მასობრივად გადმოვა ბიძინას მხარეს, ვგულისხმობ სახელისუფლებო კადრებს, ასევე გოსსტრუქტურებში მომუშავე კადრებს. აქამდე ამას ვერ ბედავდნენ, უხელფასოდ დარჩებოდნენ და მათ უკან ოჯახები დგას, ამიტომ დაახლოებით 1 თვე რომ იქნება დარჩენილი, უკვე დაიწყება მასობრივად გადასვლა ხალხის...

ნატა ნიბლაძე

◎ ესეც ასე!




# „გადაგდებულები",

## ანუ აღარ გაუმართლათ მიშნაცებთან ჩახუტებამ

**„ახალი მემარჯვენეები" და ეროვნულ-დემოკრატები ნაციონალებმა „გადააგდეს". მათ ხელისუფლებამ გაკეთებული საქმეები არ დაუფასა, არადა, ორივე პარტიას ეგონა, რომ საარჩევნოდ ბლოკს ქრისტიან-დემოკრატებთან ერთად შექმნიდნენ და არჩევნებში 5%-იან ბარიერს ასე გადალახავდნენ.**

ეს მოლოდინი ორივე პარტიას გაუცრუვდა. უფრო სწორად, უახლოეს ხანში მას შემდეგ გაუცრუვდებათ, რაც პარტიები დაბლოკების შესახებ განცხადებას ოფიციალურად გააკეთებენ.

ქრისტიან-დემოკრატებმა ბლოკის შექმნა პაატა დავითაიას „ევროპელ დემოკრატებთან" ერთად გადაწყვიტეს. ამ ბლოკში ადგილი არ იქნება არც ედპ-სთვის და არც ახალი მემარჯვენეებისთვის. ეს კი ამ პარტიებისთვის მაინც და მაინც სასიამოვნო სიურპრიზი არ უნდა იყოს.

როგორც For.ge-ს სანდო წყარომ აცნობა, ქრისტიან-დემოკრატებს ხელისუფლება არწმუნებდა, რომ ბლოკი ედპ-სთან და ახალ მემარჯვენეებთან ერთად შეექმნა. იმასაც ამბობენ, რომ ედპ იმაზეც კი თანახმა იყო, რომ ბლოკის გამსვლელ სიაში საერთოდ ადგილი არ ჰქონოდა და მარტო ბლოკის სუბიექტი ყოფილიყო.

ედპ-ს ინტერესი მხოლოდ ის იყო, რომ ბლოკის შემადგენლობაში ყოფილიყო და საპარლამენტო პარტიის სტატუსი ჰქონოდა. მაგრამ გიორგი თარგამაძემ „ქვა ააგდო, ქოში ჰყარა" და ახალ მემარჯვენეებთან და ედპ-სთან ერთად ბლოკის შექმნაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, თითქმის გადაწყვეტილია პაატა დავითაიასთან ერთად ბლოკის შექმნა. ახალ, ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებაში ადგილი ედპ-სთვის და ახალი მემარჯვენეებისთვის არ მოიძებნა. დავითაიას პარტია კი გიორგი თარგამაძისთვის მისაღები აღმოჩნდა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ „ევროპელ დემოკრატებს" ყველა საოლქო და საუბნო კომისიებში საკუთარი წევრი ჰყავს, ეს კი არჩევნების დროს ცოტა არ არის.

საარჩევნო კომისიებში წევრის ყოლა ყველა პარტიისთვის მომგებიანი კოზირია და ამ კოზირს ქდმ არჩევნების დროს აქტიურად გამოიყენებს, თუმცა, რამდენად წაადგება, ეს ოქტომბერში გამოჩნდება.

რაც შეეხება ახალ მემარჯვენეებსა და ედპ-ს, ის ყველაზე კონსტრუქციული ოპოზიცია იყო ჯერ კიდევ მანამ, სანამ პოლიტიკურ ველზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდებოდა. ჯერ კიდევ „ოპოზიციურ რვიანში", რომელიც საარჩევნო კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებით შეიქმნა ედპ და ახალი მემარჯვენეები ხელისუფლების წისქვილზე ასხამდნენ წყალს, თანაც ისე, რომ დანარჩენებმა ისინი ხელისუფლებასთან „ჩახუტებაში" დაადანაშაულეს. ხელისუფლებამ ახლებს ამაგი მხოლოდ იმით დაუფასა, რომ ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტელევიზიებში „ახალი მემარჯვენეების" პარტიული ლონისძიებები კარგად შუქდებოდა.

მმართველმა პარტიამ მემარჯვენეების გული იმითაც მოიგო, რომ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას (ასდუკ-სძ სათავეში მამუკა კაციტაძე ჩაუყენა.

ყველამ იცის, და ამას სოციოლოგიური კვლევებიც ადასტურებს, რომ ახალ მემარჯვენეებს და ედპ-ს საარჩევნო ბარიერის გადალახვა დამოუკიდებლად არ შეუძლია. ამდენად, ხელისუფლების მიერ „გადაგდებულ" დავით გამყრელიძეს და ბაჩუკი ქარდავას ისღა დარჩენიათ, რომ საპარლამენტო არჩევნების ნაცვლად 2014 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის მოემზადონ.

For.ge

ვითარება

# ერთ კვირაში საქართველოდან უნდა წახვიდეო...

## „ქართული ოცნების“ აქტივისტი „უშიშროების სამსახურის უფროსმა სასაფლაოზე მიიყვანა და დაემუქრა

**„ქართული ოცნების“ მხარდამჭერებზე ზეწოლა ამ ბოლო თვის განმავლობაში უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ზოგიერთ მათგანს კონტროლის პალატა ატერორებს, რეგიონებში კი - ადგილობრივი ხელისუფლება და ა.შ. განსაკუთრებული აგრესია ხელისუფლების წარმომადგენლებს იმ ადამიანების მიმართ აქვს, ვინც უკანასკნელ პერიოდში გაწევრდა „ქართულ ოცნებაში“. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი, რომელიც კოალიციის რიგებს 1-ელ აგვისტოს შეუერთდა, სიღნაღის რაიონის სოფელ წნორის მცხოვრები ნიკოლოზ კიკილაშვილია. როგორც იგი ამბობს, „ქართულ ოცნებაში“ გაწევრებისთანავე მასზე ადგილობრივი უშიშროების სამსახურის მხრიდან ზეწოლა დაიწყო. კიკილაშვილს ერთი კვირის ვადა მისცეს იმისთვის, რომ საქართველო დატოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაპატიმრებით ემუქრებიან.**

**მომხდართან დაკავშირებით ნიკოლოზ კიკილაშვილმა საჩივრით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, სახალხო დამცველს და უწყებათშორისი კომისიის ხელმძღვანელ გიგა ბოკერიასაც. რა ყურადღებლობა მოჰყვება მის საჩივარს, ამას უახლოეს მომავალში ვნახავთ.**

**მომხდარის შესახებ for.ge-ს ნიკოლოზ კიკილაშვილი ესაუბრება.**

ნიკოლოზ კიკილაშვილი: **„ჩემი ახლობელი გოჩა ხოსიტაშვილი მომიგზავნეს, რომელმაც მითხრა, რომ სოსო ციციშვილი სიღნაღში მიბარებდა. ციციშვილი არის კახეთის რეგიონის უშიშროების სამსახურის უფროსი. ადგილზე მისულს დამხვდნენ სოსო ციციშვილი და ჩვენი რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილე ლეკიაშვილი ბესო. ამ ადამიანებმა პოლიციაში კი არა, არამედ სიღნაღის სასაფლაოს ტერიტორიაზე არსებულ თავის კოტეჯებში მიმიყვანეს.**

**— რა კოტეჯებზე საუბრობთ?**



— სიღნაღის სასაფლაოს ტერიტორიაზე ორი პატარა კოტეჯია, ამ ხელისუფლებისაა, არ ვიცი რაში იყენებენ, ალბათ ჩემნაირი ადამიანების მისაყვანად, ვისი გამოჩენაც პოლიციის შენობაში არ სურთ. იქ რომ მიმიყვანეს, დამიწყეს საყვედურები, რატომ ვარ „ქართულ ოცნებაში“ და მითხრეს, რომ ერთ კვირაში საქართველო უნდა დავტოვო, თუ არადა დამიჭერენ. ამას მოჰყვა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რასაც მეც ავყევი, არაფერი დავთმე და ამის გამო სახეში ერთხელ გამარტყეს კიდეც. რომ გითხრათ, მცემეს და დამალურჯეს, ასე არ ყოფილა, მაგრამ ფიზიკური შეურაცხყოფა მაინც მომაყენეს.

ეს ყველაფერი ჩვენი რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კოტე ჯანელიძისგან დაიწყო. პირველ აგვისტოს, როგორც კი „ქართულ ოცნებაში“ გავწევრდი და ოფისიდან გამოვედი, დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ შემხვდა ჯანელიძე. მან უკვე იცოდა, რომ კოალიციაში გავწევრდი. ჯანელიძემ მანქანით გზა გადამიღობა და დამიწყო გამოკითხვა, — რას აკეთებ, იქით რატომ გადახვედიო და ა.შ. მე ვუთხარი, რომ ამ ხელისუფლებასთან არაფერი მესაქმებოდა, რადგან რაც ისინი ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ვალისა და უკუსვლის მეტი არაფერი ვიცი. ჯანელიძეს უხეშად ვუპასუხე, რომ ჩემი აზრი მაქვს და მას არავინ ჰკითხავს, მე სად წავალ და რას გავაკეთებ. ამის შემდეგ მან თავი დამანება და წავიდა.

იმავე საღამოს, კოტე ჯანელიძე და ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატი (უკვე ყოფილი, რადგან მოახლოებული არჩევნების გამო მას უკვე იმუნიტეტი შეუჩერდა) ნუგზარ აბულაშვილი წნორის პარკის შესასვლელთან იდგნენ, საიდანაც ჩემი 14 წლის ვაჟი თორნიკე კიკილაშვილი გამოდიოდა. იქვე იჯდა ჩემი მეუღლეც. კოტე ჯანელიძემ დეპუტატს გადაულაპარაკა, რომ ეს ჩემი შვილი იყო, რის შემდეგაც თორნიკეს ნუგზარ აბულაშვილმა დაუძახა. ჩემს შვილს „ქართული ოცნების“ მაისური ეცვა და აბულაშვილმა მას უთხრა — ეს მაისური რატომ გაცვია, გაიხადეო. თორნიკეს ჩემგან ისე აქვს ეს ყველაფერი ჩაგონებული, რომ ნუგზარ აბულაშვილს შეეპასუხა — ამ მაისურს არ გავიხდიო.

როგორც ჩანს, მათ გულში ჩაიდეს, რომ ჯერ მე ველაპარაკე ჯანელიძეს უხეშად, შემდეგ ჩემი ვაჟი აბულაშვილს შეეპასუხა და მეორე დღეს უკვე დამიბარეს. ის სიტყვები, რაც მე კოტე ჯანელიძეს ვუთხარი, უშიშროების სამსახურის უფროსმა ციციშვილმა დამახვედრა — ამ მთავრობამ დაგადო ვალებიო? ამ მთავრობას რას ემდურიო და ა.შ. რატომღაც ჩემზე აქვთ გართულება, რადგან თურმე თვლიან, რომ სოფელში გავლენა მაქვს და ხალხის ჩემს მხარეს გადაყვანა შემიძლია. ამიტომ ჩემი აქ ყოფნა არ აწყობთ.

**— თქვენზე თქვეს, რომ ხალხის თქვენს მხარეს გადაყვანის უნარი გაქვთ?**

— დიახ, ეს ინფორმაცია გამოვიდა მათგან, რომ თურმე ხალხზე დიდ გავლენას ვახდენ. ამიტომ მათ ჩემი აქ ყოფნა არ აწყობთ და პირდაპირ ბრძანების კილოთი მითხრეს, რომ ერთ კვირაში საქართველო უნდა დავტოვო, წინააღმდეგ შემთხვევაში დამიჭერენ.

**— თანამშრომლობის შესახებ თუ გქონდათ მათგან შემოთავაზება?**

— არა, უბრალოდ, საქართველოს დატოვება მიბრძანეს.

**— როდესაც სასაფლაოზე შეგხვდნენ, თავად სოსო ციციშვილი გესაუბრებოდათ?**

— დიახ, და ხელიც მან გამარტყა.

**— ბატონო ნიკოლოზ, „ქართულ ოცნებაში“ გაწევრებამდე რას საქმიანობდით?**

— აქ არაფერს, რაც ნაციონალები ქვეყნის სათავეში მოვიდნენ, საქართველოში მე თითქმის არ მიცხოვრია. მანამდე მქონდა ელიავაზე მაღაზიები, უმაღლესდამთავრებულ კაცს ხელები ტაოტში მქონდა ამოსვრილი და რომ ვერ ავიტანე ეს ცხოვრება და ამგვარი სიტუაცია, საქართველოდან წავედი, ხან თურქეთში ვიყავი, ხან დუბაიში, ვწვალობდი, ვშრომობდი და ერთიორი კაპიკი მქონდა, რომ ჩემი ოჯახისთვის მომეწოდებინა. ახლა, როცა გავიგე, რომ აქ გარკვეული წინსვლაა და რაღაც პოზიტიური მოლოდინია, ერთი თვის წინ საქართველოში ჩამოვედი და პირდაპირ „ქართულ ოცნებაში“ გავწევრდი.

**— ამ მუქარის მიუხედავად „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობის გაგრძელებას აპირებთ?**

— დიახ, რა თქმა უნდა, საერთოდ ცხოვრებაში არაფრის შიში არ მქონია, და მოსახდენი კი დღეს თუ ხვალ მაინც მოხდება. ამიტომ უკან დახევას არ ვაპირებ.

ნინო ჟღენტი

ქარწაღებულთა საქმე



# ნახევარი მილიონი ხმა მმართველ პარტიას ჯიბეში უდევს

**მამუკა კაციტაძის კომისიის მუშაობას უარყოფითად აფასებენ არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ — დემოგრაფები და სტატისტიკოსებიც. მათი გათვლით, კაციტაძის დაანგარიშებული სიებით, სულ მცირე, ნახევარ მილიონ ხმას „იპარავს“ ჩვენი ხელისუფლება და ისევე შეეცდება არჩევნების გაყალბებას, როგორც ადრე არაერთგზის გაუყალბებია.**

**ზოგიერთები უფრო შორს მიდიან და აცხადებენ, რომ კაციტაძის კომისიას კიდევ უფრო ნაკლებად ენდობა მოსახლეობა, ვიდრე მთავარ გამყალბებელს - ცესკოს.**

კაციტაძის კომისიის თანახმად, ამომრჩეველთა 99.2% გადამოწმდა, რაც დაახლოებით საქართველოს სამ მილიონნახევარი მოქალაქეა. ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა 27 ათასი მოქალაქის გადამოწმება. კაციტაძის თქმით, ამომრჩეველთა სიებიდან ამოღებულია 16.000 გარდაცვლილი, 300 ათას მოქალაქეს გაუკეთდა მინაწერი, რომ იგი „იმყოფება საზღვარგარეთ“. რაც შეეხება დაუდგენელ პიროვნებებს, ე.წ. „მიწერილებს“, მათმა რაოდენობამ 135 ათასი შეადგინა.

დემოგრაფი თომა გუგუშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ მამუკა კაციტაძის სიებში დიდი ცდომილებაა, რადგან საარჩევნო ხმების მიმცემთა რაოდენობა საქართველოში კიდევ უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე ამას კაციტაძის კომისია აღრიცხავს.

**„თუ არ ვცდები, მან გამოაცხადა 2 მილიონ 800 ათასი ამომრჩეველი. დაახლოებით 20% აქედან გაზრდილია. თავისთავად, ეს პოლიტიკური მოსაზრებითაა გაზრდილი. წინა არჩევნების დროს 3 მილიონ რვაასი ათასს აცხადებდნენ, ახლა კი ერთმა მილიონმა დაიკლო, მაგრამ მაინც კიდევ შეცდომაა. ადვილად შეგიძლიათ გადაიანგარიშოთ, რადგან საარჩევნო ხმები არის მთელი მოსახლეობის რაოდენობის 56-დან 60 %-მდე, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში მცხოვრებთა რაოდენობა დღეს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე, 4 მილიონ ნახევარი უნდა იყოს. ჩემი გაანგარიშებით კი, 3 მილიონ ნახევარი თუ იქნება!, ე.ი. სადღაც 700 ათასი არის ზედმეტი ხმა“, — მიიჩნევს თომა გუგუშვილი.**

მისი თქმით, ხელისუფლებამ ხმების დათვლის სამზარეულო ძალიან კარგად იცის, ამიტომაც ფასადი შექმნეს და ამომრჩევლები 3 მილიონ რვაასი ათასიდან ჩამოიყვანეს 2 მილიონ 800 ათასამდე. თან გვარწმუნებენ, რა გინდათ, 2 მილიონ 800 ათასამდე დავიყვანეთო, მაგრამ არ დაუკვირდნენ, რომ თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონ ნახევარი უნდა იყოს, რაც ასე არაა. ეს ზღაპარია. ჩვენი მოსახლეობა მაქსიმუმ 3 მილიონ ნახევარი იქნება.

რაც შეეხება საზღვარგარეთ წასულ ადამიანებს, თომა გუგუშვილი აცხადებს, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ, თუმცა ორმაგი მოქალაქეობა ძალიან ცოტას აქვს.

**„უცხოეთში წასულ 800 ათასამდე ადამიანიდან თუ გამოვაკლებთ ბავშვებსა და ხმის არმქონე პირებს, 400-500 ათასამდე ხმა უნდა მივიღოთ. ამ დროს კი, როგორც მახსოვს, კაციტაძემ უცხოეთში წასულ ხმის მიმცემ პირებად სადღაც 300 ათასამდე ადამიანი გამოაცხადა. აქაც 150 ათასით დაბალი რაოდენობა დააფიქსირა. არადა, წინა არჩევნების დროს ხელისუფლება ყოველთვის უმატებდა საზღვარგარეთ მყოფთა რიცხვს, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ მათ ხმებს მიიწერდნენ. მოგეხსენებათ, იქ არ კონტროლდებოდა საარჩევნო უბნები. ახლა კი ეშინიათ, რომ საზღვარგარეთ საარჩევნო პროცედურა გაკონტროლდება და ხმები ამათკენ არ წამოვა, ამიტომ დასწიეს გარე მიგრაციის რიცხვი. სხვანაირი ახსნა ამ ფაქტს მე ვერ მოვუძებნე,“** — აღნიშნა თომა გუგუშვილმა.

ამასთან, ექსპერტის თქმით, ახლანდელი არჩევნების გაყალბების მაჩვენებელი, წინა არჩევნებთან შედარებით უფრო ნაკლები იქნება. თუმცა, შეიძლება, 30-40 %-ით გაყალბდეს. წინა არჩევნებში გაყალბების მაჩვენებელი კი უზარმაზარი იყო.

For.ge-სთან საუბრისას დემოგრაფი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ანზორ თოთაძე აცხადებს, რომ ხელისუფლებამ რაც არ უნდა გაბეროს მონაცემები, სამ მილიონზე მეტი ამომრჩეველი საქართველოში მაინც არ იქნება, თუ უფრო ნაკლები არა. ამას ადასტურებს დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაცემები და ის ფაქტიც, რომ ბოლო წლებში მიგრაცია ძალიან გაიზარდა. თოთაძის განმარტებით, მიგრაციის ზრდას ისიც მოწმობს, რომ 2012 წელს საზღვარგარეთიდან გზავნილებმა იმატა. წესით, გზავნილები, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაზრდილიყო, რადგან საზღვარგარეთ კრიზისია, ქართველ მიგრანტებსაც უჭირთ, მაგრამ გზავნილები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გაიზარდა, რომ ჩვენში გარე მიგრაციის რიცხვმა იმატა და საქართველოს მოსახლეობა სამშობლოს ტოვებს.

**„ბოლო 20 წლის მანძილზე, 1990-2009 წლებში, მიგრაციაში წავიდა მილიონ ორასი ათასით მეტი, ვიდრე ჩამოვიდა. ბოლო წლებშიც მიგრაცია გაიზარდა. მიგრაციაში ლეგალურად წასულთა გარდა, ბევრი არალეგალია. საბერძნეთში, თურქეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები აცხადებენ, ისე ვართ ჩამოსულები, რომ ხმას ვერ მივცემთო. გახსოვთ ალბათ, კანადაშიც არალეგალურად მიდიოდნენ და დაიღუპა ხალხი. ჩვენი გამოანგარიშებით, არალეგალურად წასული დაახლოებით 400 ათასი ადამიანია. ხოლო, ვინც ლეგალურად მიდის და სახელმწიფო აღრიცხავს, მისი გამგზავრება მონაცემებში შეტანილია, მაგრამ არალეგალები არ არიან შეტანილნი“.**

ანზორ თოთაძის განმარტებით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, 2011 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობის რიცხვი 4 მილიონ 469 ათასი იყო. თუ ჩვენ ამას გამოვაკლებთ იმ მილიონ ადამიანს, რომელიც 18 წლამდე ასაკისაა, დაგვრჩება 3 მილიონ 449 ათასი, ვინც ხმა უნდა მისცეს. მაგრამ თოთაძე აცხადებს, რომ არალეგალური მოსახლეობა ძალიან ბევრია, და, თუ ამ 400 ათას არალეგალსაც მხედველობაში მივიღებთ, საქართველოში ხმის მიმცემთა რაოდენობა, რაც არ უნდა გაჭიმონ, 3 მილიონზე მეტი არ იქნება. პირიქით, ნაკლებიცაა.

ამდენად, ექსპერტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლება მიგრაციაში წასულთა ხმებს თავის სასარგებლოდ ისევე წარმატებით გამოიყენებს, როგორც ადრე იყენებდა.

**„კაციტაძის კომისიას ვერ ვენდობი. მანდ უნდა ყოფილიყვნენ ჩართულნი ის სპეციალისტები, ვინც დარგი იცის — სტატისტიკოსები, დემოგრაფები და სხვა. ასე ჰაიჰარად აღწერა არ შეიძლება. მე მგონი, ეს მაინც ქარს გატანებული საქმე იყო, რაც კაციტაძემ მოახმარა ამ კონტიგენტის აღწერას. თუკი მამუკა კაციტაძე ამბობს, რომ ხმის მიმცემთა რაოდენობა სამ მილიონ ნახევარია, ეს ნიშნავს, რომ, თუ არჩევნები გააყალბეს (რასაც არ მოერიდებიან), ნახევარი მილიონი ხმა ჯიბეში უდევს მმართველ პარტიას.“**

მარიამ ლოლაშვილი

◉ ადამიანი დროში

# უნივერსიტეტის და ახალგაზრდა თაობის ერთგული მსახური



დაბადებიდან სამოცი წელი შეუსრულდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ვლადიმერ (ლადო) ბალაძეს** – ქართული მათემატიკური სკოლის ღირსეულ წევრს და გეომეტრიული ტოპოლოგიის ცნობილ მკვლევარს.

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი გახდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი, ხოლო შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტი.

ვ. ბალაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო და სტილი ჩამოყალიბდა და განისაზღვრა უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე და მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა-გეომეტრიის განყოფილებაში, სადაც მოღვაწეობდნენ აღიარებული ქართველი ტოპოლოგები და ალგებრაისტები. აქ აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა და განვითარდა საქვეყნოდ ცნობილი ქართული აბსტრაქტული მათემატიკური სკოლა.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ამ ორ მათემატიკურ ცენტრში აქტიურად და მაღალ დონეზე წარმოებულმა სასწავლო-სამეცნიერო და პროსემინარულმა მუშაობამ გამოიწვია იმ თაობის სტუდენტთა და ასპირანტთა, მათ შორის ვ. ბალაძის, დაინტერესება ტოპოლოგიითა და ალგებრით. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორების გ. ჭოღოშვილის და ლ. ზამბახიძის, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ ი. სმირნოვის ზეგავლენით ვ. ბალაძის სამეცნიერო კვლევის სფეროდ იქცა ტოპოლოგიის კლასიკური და თანამედროვე დარგები – განზომილების თეორია, რეტრაქტების თეორია, ჰომოლოგიის თეორია, ჰომოტოპიის თეორია, შეიპების თეორია, უწყვეტ გარდაქმნათა ჯგუფების თეორია და კატეგორიათა თეორია, რომელთა კვლევასაც მიეძღვნა მისი საკანდიდატო დისერტაცია – სივრცეთა და კომპლექსთა კლასების მოდულით განზომილებების ფუნქციების შესახებ და სადოქტორო დისერტაცია – ტოპოლოგიური სივრცეებისა და უწყვეტი ასახვების რეზოლვენტები და მათი გამოყენებანი სპექტრალურ ჰომოტოპიურ თეორიაში.

პროფ. ვ. ბალაძე გახლავთ მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესების და საერთაშორისო აღიარების მქონე მათემატიკოსი. მან გამოიკვლია სივრცეთა და უწყვეტ ასახვათა თვისებები გეომეტრიული ტოპოლოგიის თვალსაზრისით, ააგო მათი განზომილებისნაირი ჰომოლოგიური, ჰომოტოპიური და შეიპური ინვარიანტები და შეისწავლა სივრცეთა და უწყვეტ ასახვათა კლასიფიკაციის პრობლემები, რომლებთანაც დაკავშირებული სამეცნიერო შედეგები მოხსენებული იქნა მრავალ საერთაშორისო მათემატიკურ ფორუმზე და გამოქვეყნდა ცნობილ უცხოურ და სამამულო ჟურნალებში. პროფ. ვ. ბალაძის აქტიური სამეცნიერო მუშაობის შედეგია ისიც, რომ ბათუმის უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო სემინარი „გეომეტრიული ტოპოლოგია და გამოყენებანი“ და მისი მოსწავლეები (ვ. აბუსელიძე, ა. ბერიძე, ლ. თურმანიძე, გ. ივანაძე, ვ. ცინარიძე, მ. ძაძამიაძ აწარმოებენ კვლევებს ტოპოლოგიის ამ მიმართულებაში. ბატონ ვლადიმერის გამოკვლევები და იდეები გახდა მათი შრომების საფუძველი და სამეცნიერო საქმიანობის სტიმული.

პროფ. ვ. ბალაძის სამეცნიერო მუშაობა განუყოფელია მისი პედაგოგიური მოღვაწეობისაგან, რომელიც დაიწყო 1976 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გაგრძელდა 2005 წლამდე, ვიდრე გადავიდოდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუდმივად სამუშაოდ. ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე გაიარა აკადემიური საქმიანობის ყველა საფეხური კათედრის ლაბორანტიდან კათედრის პროფესორამდე და მიყავდა მრავალნაირი სპეციალური კურსი. მას წილად ხვდა პატივი გაეგრძელებინა თანამედროვე გეომეტრიის კურსის – ტოპოლოგიის წაყვანა, რომელსაც წლების განმავლობაში კითხულობდა კათედრის გამგე – ქართული ტოპოლოგიური სკოლის ფუძემდებელი აკადემიკოსი გიორგი ჭოღოშვილი. კათედრის ეს გადაწყვეტილება მრავლისმთქმელია, მის პედაგოგიურ ღირსებებს და დამსახურებებს უკავშირდება.

ბატონი ვლადიმერი 1991 წლიდან შეთავსებით იწყებს მუშაობას ახლად დაარსებული ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე, სადაც ბათუმელ სტუდენტებს გადასცემს დიდი ენთუზიაზმით იგივე საუნივერსიტეტო კურსებს და ზრუნავს საუნივერსიტეტო სამეცნიერო კადრების გაზრდისთვის. დიდი ერუდიცია, პერსპექტიული მიმართულებების და ამოცანების ამოცნობის და დასმის უნარი, ყველა თავისი მოსწავლის მიმართ კეთილმოსურნე დამოკიდებულება არის საფუძველი მისი წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისა, რაც თავისთავად არის თბილისისა და ბათუმის უნივერსიტეტების ტრადიციული თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი.

პროფ. ვ. ბალაძე 2005-2006 წლებში მუშაობდა ბათუმის უნივერსიტეტში სასწავლო-აკადემიურ დარგში რექტორის მოადგილედ, ხოლო 2006-2007 წლებში რექტორად. ის თანამოაზრეთა გუნდთან ერთად ბევრს ფიქრობდა რეფორმებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ცდილობდა არ დაეშვა შეცდომები და არ გადაედგა უნივერსიტეტისთვის მიუღებელი და საზიანო ნაბიჯები. საბედნიეროდ, საფუძველი ჩაეყარა უნივერსიტეტის განვითარებისა და წარმატებისათვის აუცილებელ მრავალ სასარგებლო და მნიშვნელოვან წამოწყებას, რომლებმაც ქართული სამეცნიერო საზოგადოების და საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწონება და ყურადღება დაიმსახურა.

პროფ. ვ. ბალაძე იყო და არის ქართულ საგანმანათლებლო სივრცესა და უნივერსიტეტში გონივრული რეფორმების გაგრძელების პრინციპული მომხრე და მხარდამჭერი. იგი მუდმივად ერთგული იყო და არის იდეისა გადაიქცეს ბათუმის უნივერსიტეტი საერთაშორისო აღიარების ეროვნულ საგანმანათლებლო კერად, იყოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარმატებული უნივერსიტეტი და შეასრულოს ის ეროვნული მისია, რაზეც ოცნებობდნენ ჩვენი ერის საუკეთესო შვილები, მათ შორის აკადემიკოსი გ. ჭოღოშვილი – ბათუმში უნივერსიტეტის დაფუძნების ყველაზე დიდი მებრძოლი და ინიციატორი, ვინაც საოცარი როლი ითამაშა ვ. ბალაძის პიროვნების, მრწამსისა და შეხედულებების ფორმირებაში. მათი ურთიერთობა მარტო მათემატიკას არ უკავშირდებოდა. ხშირად გვინახავს ქვეყნის დამოუკიდებლობაზე და ისტორიაზე მოსაუბრე მასწავლებელი და მოსწავლე. ეს საუბრები დიდხანს, გვიან ღამემდეც კი გრძელდებოდა და დისკუსიის მუდმივი თემა იყო აჭარასთან, ტაო-კლარჯეთთან, მესხეთ-ჯავახეთთან, ლაზეთთან, საინგილოსთან, ერთი სიტყვით, მძიმე წარსულგამოვლილ ქართულ მხარეებთან დაკავშირებული ისტორიული პრობლემები. ბატონ გიორგის, ბატონი ლადო და აჭარის მკვიდრი – თბილისში მოღვაწე მეცნიერები, რომლებთანაც დიდი სიახლოვე და მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა, თავიანთი პიროვნული ღირსებებით, მოქალაქეობრივი მრწამსით და მიღწევებით მიაჩნდა აჭარაში გადარჩენილი და გაცოცხლებული ქართული გენის აღორძინებად და გამობრწყინებად.

ჭეშმარიტად ასეა, ბატონი ვლადიმერი თავისი ძირძველი ქართული მხარის – აჭარის ღირსეული შვილია. ამას ის საქმითაც ამტკიცებდა. როგორც კი იგრძნო რა, რომ თავისი ქვეყნისთვის უფრო საჭიროა მისი მოღვაწეობა ბათუმის უნივერსიტეტში, მაშინვე, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, შეთავსებით დაიწყო იქ მუშაობა. მიუხედავად რთული პერიოდისა, ახერხებდა ორივე უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წაყვანას. ასე გრძელდებოდა მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში... შემდეგ კი მისი მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირდა ბათუმის უნივერსიტეტს. ბატონი ვლადიმერი თავისი საზოგადოებრივი და მეცნიერული მიღწევებით და გაწეული ღვაწლით ამშვენებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის და ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის ისტორიას.

პროფ. ვ. ბალაძე 2008 წლიდან დღემდე ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. ბატონი ვლადიმერისა და მისი კოლეგების აქტიური მოღვაწეობითა და ძალისხმევით მათემატიკის დეპარტამენტი გადაიქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მათემატიკურ ცენტრად. იგი მუდმივად ინარჩუნებს სამეცნიერო კონტაქტებს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მათემატიკურ ცენტრებთან და არის მრავალი საერთაშორისო მათემატიკური ფორუმის ორგანიზატორი. მის დამსახურებად ითვლება ისიც, რომ დეპარტამენტში შექმნილმა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისმა, სწავლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებმა მოიპოვა ექსპერტთა აღიარება და მხარდაჭერა.

პროფ. ვ. ბალაძე სარგებლობს დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით თავის ქართველ და უცხოელ კოლეგებს, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის. ბატონ ვლადიმერს აქვს ურთიერთობის არაჩვეულებრივი ნიჭი, მუდმივად იზიდავს თავისკენ სხვადასხვა ასაკისა და მსოფმხედველობის ადამიანებს, მუდმივად მიმართავენ მას რჩევისთვის, დახმარებისთვის ანდა აზრთა გაზიარებისთვის, ის კი ყოველთვის მზადაა, გაუგოს მათ და დაიჭიროს მათთვის სასარგებლო, თუნდაც პირადად მისთვის არასასურველი პოზიცია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – უნივერსიტეტისა და ქვეყნის ინტერესების საზიანო. სწორედ ამიტომაც ვ. ბალაძის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ამშვენებს პრინციპულობა და პატრიოტიზმი, ქვეყნისადმი სიყვარული და თავდადება.

სულითა და გულით ვულოცავთ ბატონ ვლადიმერს დაბადებიდან მესამოცე წელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, სამეცნიერო წარმატებებს და პედაგოგიურ მიღწევებს თავისი შესანიშნავი ქართული ოჯახის, ქვეყნის და ახალგაზრდა თაობის გასახარად და საკეთილდღეოდ.

**საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი;**

**შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტი;**

**ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის მიმართულება.**

◉ ინფორმაცია

## შპს „ბურჯის“ ქონება შპს „გამამ“ შეიძინა

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შპს „გამას“ დირექტორმა გიორგი ყავლაშვილმა განუცხადა.**

ყავლაშვილის თქმით, კომპანიამ მონაწილეობა მიიღო ელექტრონულ აუქციონში. მისი განმარტებით, ქონება იყო გამოტანილი ერთ ლოტად და შედგებოდა როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონებისგანაც.




გიორგი ყავლაშვილის განმარტებით, აუქციონზე გაიმარჯვა შპს „გამამ“ და ქონების ღირებულება – 8 761 000 ლარი გუშინწინ გადაიხადა. მისი განმარტებით, „გამა“ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია როგორც შპს „ბურჯის“ მესაკუთრე და განახორციელებს თავის, როგორც მესაკუთრის უფლებებს. შპს „ბურჯის“ ქონება აუქციონზე 2 აგვისტოს გაიყიდა.

## ექიმები მოსახლეობას რჩევებს აძლევენ

ექიმები მოსახლეობას ნაწლავური ინფექციების თავიდან ასაცილებლად, საკვები პროდუქტების კარგად გარეცხვას, თერმულად დამუშავებას და შესაბამის პირობებში შენახვას ურჩევენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლის ინფექციური დაავადებების სამსახურის უფროსმა ხათუნა ზახაშვილმა განუცხადა, ზაფხულის პერიოდი მიკრობების გავრცელების ყველაზე ხელსაყრელი პირობებია, რის გამოც მომხმარებლებმა პირადი ჰიგიენის გარდა, საკვები პროდუქტებიც შესაბამისი პირობებით უნდა დაამუშავონ და შეინახონ.

ხათუნა ზახაშვილის განცხადებით, ზაფხულის პერიოდში სასურველია, ადამიანებმა კრემიანი ნამცხვრები არ მიიღონ საკვებად. ცხელ სეზონზე საერთოდ არ შიძლება შებოლილი პროდუქციის საკვებად მიღება.

ექიმი-ინფექციონისტების განცხდებით, მოქალაქეებმა თავი რომ აარიდონ ნაწლავური ინფექციებით დაავადებას, საკვები პროდუქტები, მათ შორის რძის ნაწარმი, მაიონეზი, შოკოლადი, კვერცხი, სოსისი და ძეხვეული ღია დახლებიდან არ უნდა შეიძინონ., რომელიც ბაზრობებსა და ღია სავაჭრო ფარდულებში უხვადაა წარმოდგენილი.

ზაფხულის პერიოდში ყველა პროდუქტი დახლმაცივრებში უნდა ინახებოდეს და შეძენის შემდეგ ის კარგად გაირეცხოს, თუ საჭიროა თერმულად დამუშავდეს და გამოყენებამდე მაცივარში იქნას შენახული.

ინტერპრესი

**ახალი პოლიტიკური ძალა „თეთრი მოძრაობა" (თეთრები) კვლავაც ვადასტურებთ პოზიციას, რომ 2010 წლის 7 აგვისტოს მომართვაში (იგი დღესაც ქვეყნდება) და შარშან შემოდგომაზე ქალაქ სოჭში გამართულ ოსური კულტურის დღეებზე გამოსვლის დროსაც გამოვხატეთ. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ეს პოზიცია კიდევ ერთხელ უცვლელად გამოვიტანოთ ფართო საზოგადოების სამსჯავროზე.**

ერთდროულად ვნანობ და ამაყი ვარ... ერთდროულად მოხიბლულიც ვარ და წარმოუდგენლად ვღელავ...

ვღელავ, რადგან – ვაითუ ვერ შევძლო ვთქვა ის, რისი თქმაც მინდა, ვთქვა ისე, როგორც განვიცდი, ვთქვა ის, რაც ჩემს სულში ტრიალებს ახლა, ამ წუთში, საერთოდ ბოლო ოცი წლის პერიოდში, 1991 წლიდან, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული.

მოხიბლული ვარ თქვენი მასპინძლობით, ამ დიდებული შეკრების მთავარი ორგანიზატორის ალექსანდრ მარგიევის ყურადღებით, იმით, რომ, როგორც ქართველი, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ვარ... მოხიბლული ვარ იმით, რომ მსოფლიოს 40-მდე ქვეყნიდან, დაწყებული ამერიკიდან, ევროპიდან, ყოფილი საბჭოთა სივრციდან, დამთავრებული ავსტრალიით, მოიწვიეთ ოსური დიასპორის ხელმძღვანელები და წარმომადგენლები, სოჭში ასეთი მასშტაბით მოაწყვეთ ოსური კულტურის დღეები და ასე ლამაზად აჟღერებთ დღეს ამ უნიკალურ დარბაზში ათასზე მეტი ოსისა და ოსების მეგობართა მონაწილეობით.

ამაყი ვარ იმით, რომ თქვენ ჩემი მოწვევა გადაწყვიტეთ, ოსი ხალხის მეგობარი მიწოდეთ და 2008 წლის აგვისტოს ბნელი დღეების შემდეგ პირველ ქართველს მომეცით უფლება, რომ ოსთა ასეთი დიდი, რაც მთავარია, არანახულად წარმომადგენლობითი აუდიტორიის წინაშე წარვმდგარიყავი – სიტყვა მეთქვა.

ამაყი ვარ იმით, რომ მონანიება შემიძლია. დიახ, რომ ვინანიებ, ვარ ამაყი და ამაყი ვარ იმით, რომ შემიძლია მონანიება.

მონანიებას, შენდობას ძალა უნდა!

მწამს და მჯერა, ვიდრე ყოველი ქართველი საკუთარ თავში არ მოძებნის ძალას, მოინანიოს და შეუნდოს სხვას... ვიდრე ყოველი ოსი იგივეს არ გააკეთებს – საკუთარ თავში არ მოძებნის ძალას მოინანიოს და სხვას შეუნდოს – არათუ ჩვენი ურთიერთობები არ განაღდება, არც ჩვენს ერებს ექნებათ სრულფასოვანი, არ ექნებათ მომავალი.

რა უნდა მოვინანიოთ? ალბათ, ბევრი, თუნდაც ის, რომ ხელისუფალთ მივეცით იმის უფლება, რაც გააკეთეს.

როგორც ყოველ ადამიანს, მეც ყოველგვარი ბოლმისაგან მათავისუფლებს და მამაღლებს სინანული, შენდობა.

მწამს და მჯერა, მხოლოდ ნამდვილ ქართველს შეუძლია მონანიება. მწამს და მჯერა, მხოლოდ ნამდვილ ოსს შეუძლია მონანიება. ყველაფერი ნამდვილით იწყება და ყველაფრის საფუძველი ნამდვილია: მხოლოდ ნამდვილ ქართველს და ნამდვილ ოსს შეუძლიათ მეგობრობა, ერთმანეთის სიახლოვე, ერთმანეთთან სიყვარულით ცხოვრება.

ნამდვილი ქართველია რეზო ამაშუკელი... ნაღდი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, რომელმაც გულისშემძვრელი სიტყვებით მოგმართათ ყველას. ეს ტაქტი რუსულ ენაზე ჩინებულად წაიკითხა ჩვენმა ოსმა მეგობარმა.

მხოლოდ ნამდვილ ქართველს შეეძლო ეთქვა:

**„ძმებო, ოსებო! მეც ალანი ვარ და ის ქართველი, რომელსაც ვერასდროს ამგლეჯენ გულიდან თქვენ სიყვარულს და პატივისცემას! შეჩვენებული მყავს ყოველი, ვინც ჩვენს შორის წყალი აამღვრია."**

საოცარი სიტყვებია, ნაღდი კაცის ნაფიქრალია...

აი, კიდევ:

**„სამი შვილთაშვილი მყავს და სამივე ვაჟია. მათ აქედანვე ვუნერგავ თქვენდამი ძმობას!"**

დიდებულია!

და კიდევ ერთი, მართლაც დიდი ქართველის დიდი ადამიანური სიმაღლე:

**„მე დამანგრია და დამღალა ამ ამღვრეულმა დრომ, თუ უფალი წამიყვანს, ერთი სანთელი თქვენც აანთეთ, რამეთუ გულით მიყვარხართ და იმედი მაქვს, ერთად ვიქნებით!"**

რეზო ამაშუკელის ამ სიტყვებს ყოველი ნამდვილი ქართველი მოაწერს ხელს. ვფიქრობ სცენაზე და სწორედ თქვენს წინაშე ვაწერ ხელს რეზო ამაშუკელის თქვენდამი გამოგზავნილ წერილს. ამ წერილზე ხელმოწერა უკვე გააკეთა ცნობილმა დიპლომატმა, საქართველოს ყოფილმა ელჩმა ამერიკაში, რუსეთში, გაეროში, ბატონმა პეტრე ჩხეიძემ, რომელიც დღეს სავალალოდ ჩამოფრინდა შვეიცარიიდან და ამით დაადასტურა თავისი, როგორც ქართველი კაცის მეგობრობაც და კეთილი განწყობაც თქვენდამი.

როგორც წყლის ერთმა წვეთმა შეიძლება მთელი ცხოვრების ანარეკლი დაიტიოს, რეზო ამაშუკელის ეს წერილი ნამდვილი ქართული განწყობის გამოხატულებაა. ვფიქრობ, თქვენც ასე თვლით, რომ იგი ნამდვილი ოსი კაცის განწყობასაც გამოხატავს. ეს არის შერიგება! დიახ, სწორედ ეს არის შერიგება და ჩვენი ურთიერთობების ტრადიციულ, ბუნებრივ კალაპოტში გადაყვანა.

მოდით ვთქვათ პირდაპირ: ჩვენ არასოდეს ერთმანეთის მტრები არ ვყოფილვართ – უნდოდათ და უნდათ, რომ გვექციოთ ასეთებად... ომი არ უნდოდათ არც ქართველ ხალხს, არც აფხაზებს და არც ოსებს... ომი არასრულფასოვნებისა და არასრულფასოვანთა სტიქიაა... ომი ავანტიურისტი პოლიტიკოსების პურია... ომი განდიდების მანიით შეპყრობილ ხელისუფალთა გონებაში იბადება და იწყება... სწორედ არასრულფასოვნება, ავანტიურისტობა, განდიდების მანიით შეპყრობილებმა გვესროლეს მეც და თქვენც, ყოველ ქართველს, ყოველ ოსს და ყოველ აფხაზს, ესროლეს ჩვენს ისტორიას, ჩვენს ძმობას, ჩვენს ერთობას, ესროლეს ერთიან ქართულ სახელმწიფოს.

მოდით ვთქვათ პირდაპირ: ომი ყველამ წააგეთ – ქართველებმაც, აფხაზებმაც, ოსებმაც... ომი მხოლოდ პოლიტიკოსებმა მოიგეს – ჩვენი დაპირისპირებით, ჩვენი ძმების სისხლით შეინარჩუნეს ჩვენზე ბატონობა.

დაფიქრდით, დღეს ეს პოლიტიკოსები კვლავ ომის ენაზე ლაპარაკობენ... დააკვირდით, კონფლიქტის მონაწილე ყველა დიდი და პატარა ქვეყნის, ყველა მრავალი თუ მცირერიცხოვანი ერის ხელისუფალნიც საკუთარი ქვეყნის და ხალხის გამარჯვებაზე საუბრობენ.

ფრთხილად! ომი სწორედ მაშინ იწყება, როცა ძველი ომის მონაწილე ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი ფიქრობს არა შენდობაზე, არამედ საუბრობს ომში გამარჯვებულის ენითა და განწყობით.

დღეს ამ შეხვედრას სიტყვით მიმართა ცნობილმა დიპლომატმა ალექსანდრე ძასოხოვმა. ის დიდი ავტორიტეტია ყოველი მოაზროვნე ადამიანისთვის... მას მთელ მსოფლიოში აქვს კარგი სახელი... დღეს იგი იუნესკოს წარმოადგენს ჩვენს შეხვედრაზე. მე ვამაყობ, რომ დღეს გავიცანი პიროვნება, რომელსაც ისედაც უდიდეს პატივს მივაგებდი. ვინ დამაჯერებს, რომ მას ომი უნდოდა და უნდა, რომ ის, როგორც ოსი, გამარჯვებულად თვლის თავს. ვინ დამაჯერებს, რომ მწერალი და პროფესორი ნაფი ჯუსოითი, რომელსაც 1987 წლიდან ვიცნობ და ვამაყობ ამით, მასთან შეხვედრებითა და საუბრებით, რომ მას ომი უნდოდა, ან გამარჯვებულად თვლის თავს?

ვინ შეიძლება დაიჯეროს, რომ რეზო ამაშუკელს, რომლის სიტყვებსაც ოვაციებით შეხვდით, ან უდიდეს მოქანდაკეს, მსოფლიო მასშტაბით ცნობილ ხელოვანს, საქართველოს კულტურის ფონდის ხელმძღვანელს მერაბ ბერძენიშვილს, რომელმაც საუკეთესო სურვილები დამაბარა თქვენთან, საჩუქრად

# ცხინვალს კი არა, ერთიან ქართულ სახელმწიფოს ესროლეს!

მისი წიგნიც გამომატანა, რომ ომი უნდოდა, ან უნდა?

რეზო ამაშუკელი, ალექსანდრე ძასოხოვი, მერაბ ბერძენიშვილი, ნაფი ჯუსოითი – ესენი არიან ჭეშმარიტ ოსთა და ჭეშმარიტ ქართველთა განწყობის მატარებელი ადამიანები. საბედნიეროდ, ასეთები ჭარბობენ დღეს ქართველებშიც და ოსებშიც.

საოცარი რამ მითხრა თქვენთან წამოსვლის წინ რეზო ამაშუკელმა. თურმე როცა ვალენტინ რასპუტინი უმძიმესი სიტყვებით დაატყდა თავს ქართველ ხალხს მწერალთა საკავშირო ყრილობაზე 1988 წელს მოსკოვში და ქართველ მწერალთა ერთმა ჯგუფმა (როგორც ჩანს, ყველამ ვერ გაბედა) პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა – პირველთა რიგებში ნაფი ჯუსოითი მიდიოდა.



დიდი სიმაღლეა. დღეს ამ ტრიბუნიდანაც ვამბობ მადლობას მის მიმართ, მისი კაცური ნაბიჯების გამო.

1982 წლიდან, ანუ თითქმის 30 წელია, ვიცნობ და ვმეგობრობ მაესტრო ვალერი გერგიევთან. ის დღეს ამ შეხვედრას გერმანიიდან მიესალმა. დარბაზში მისი და ზის, ლარისა, ბრწყინვალე ქალბატონი და ხელოვანი. ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ თქვენს წინაშე ჩემი წარდგენის დროს თქვეს, რომ მე ვარ ვალერი გერგიევის პირადი მეგობარი.

ერთი წელიც არ არის, რაც კარგად გავიცანი გოჩა ძასოხოვი. დიდი სურვილი მაქვს, ჩვენი ურთიერთობაც მეგობრობაში გადაიზარდოს.

ვალერი გერგიევი – ოსი კაცი – დღეს მთელი მსოფლიოს კუთვნილება, პლანეტარული აზროვნების კაცი, უდიდესი ხელოვანი, რომელზეც ამერიკის გუშინდელ პრესაში ამერიკაში პეტერბურგის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამკვირიანი გასტროლების შემდეგ ასეთი შეფასება გაკეთდა: „სხვა სამყაროს მუსიკა", როცა ცხინვალში ჩავიდა თქვა: „მე აქ იმიტომ არ ვარ, რომ ოსები უკეთესები ვართ, ვიდრე ქართველები... მე აქ ვარ იმიტომ, რომ წინ აღვუდგე ომს კავკასიაში, ომს მოძმე ერებს შორის, ომს ქართველებსა და ოსებს შორის." ავი ენები რას არ ამბობენ საქართველოში მასზე, მაგრამ ვინ-ვინ და მე ვიცი, როგორ უყვარს მას საქართველო და ქართველი ხალხი. მწამს და მჯერა, ამას დრო დაადასტურებს. მე ამაში საბოლოოდ 1982 წელს დავრწმუნდი, როცა მაშინ ჯერ კიდევ ბიჭებმა შევძელით, გვერდით დავდგომოდით დისიდენტ ლექსო თორაძეს, როცა ის ბევრმა მიატოვა და პეტერბურგში კაგებეს ჰყავდა კლანჭებში მომწყვდეული. ადვილი არ იყო ჩვენგან მაშინ ამ ნაბიჯის გადადგმა. სწორედ ასე შეაფასეს მაშინ ეს დიდმა მაესტრომ ჯანსუღ კახიძემ, ცნობილმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა. ვალერი გერგიევისა და ლექსო თორაძის მეგობრობა დღესაც გამორჩეული და უნიკალურია. მე ვამაყობ მათთან მეგობრობით.

გოჩა ძასოხოვმა ორი წლის წინათ ამ დარბაზში სასწაული მოახდინა – შეკრიბა საქართველოს ყველა ეროვნების წარმომადგენელი და იმ დღეს ათასზე მეტმა კაცმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დავაფუძნეთ „საქართველოს ხალხთა ასამბლეა". ვერც ერთმა პოლიტიკოსმა ვერ გაბედა ჩამოსვლა საქართველოდან. მე მომავლის საქმე დავინახე მის ამ ნაბიჯში – ასამბლეის შექმნაში. მაშინ ამ დარბაზში სწორედ გოჩა ძასოხოვისგან მოვისმინე უნიკალური სიტყვები, რომელიც მან ქართულად, ოსურად, რუსულად და ინგლისურად წარმოთქვა:

- საქართველო გაბრწყინდება!
- გვაცადეთ ამერიკამ და რუსეთმა და ჩვენ, ოსები, აფხაზები, ქართველები შევქმნით ისეთ სახელმწიფოს, რომლითაც იამაყებს მთელი მსოფლიო!

ავი ენები რას არ წერენ და ლაპარაკობენ ბატონ გოჩაზე საქართველოში (მას ხელისუფლებამ მისი ნიჭით შექმნილი ბიზნესი წაართვა, უმუშევრად დატოვა უამრავი ადამიანი, რომლებიც მის მიერ შექმნილ საწარმოებში იყვნენ დასაქმებულნი). მაგრამ იგი რომ ნამდვილი ოსია და ნამდვილი ქართველი, ეს ჩემთვის ოდნავადაც არ არის საეჭვო. მადლობა მას, რასაც ის ვლადიკავკაზის ქართული სკოლისთვის აკეთებს, იმისათვის, რასაც იმ ქართული ეკლესიისათვის აკეთებს, სადაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მოინათლა, იმისათვის, როგორც ფიქრობს იმ სახლზე, სადაც საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქი დაიბადა. დადგება დრო, ამ და ბევრი სხვა დიდი საქმისათვის მას მადლობას ეტყვის ერთიანი საქართველო. კეთილშობილური იყო მისი აღსარებაც: **„მე შევცდი, როცა საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას დავუჭირე მხარი, ვაფინანსებდი „ნაციონალებს", პრეზიდენტს. მე არასოდეს პოლიტიკოსს აღარ დავაფინანსებ, მაგრამ ვიცი, სასწაულს გავაკეთებ ქართველი ხალხისა და საქართველოს მოსახლეობისათვის".** ღმერთმა გისმინოთ, ბატონო გოჩა! ვიცი, რომ თქვენ ამას გააკეთებთ! და კიდევ ერთი, ქართულ-ოსური მისიის წევრები ცრემლით ვიდექით ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში, როცა მან ქართულ ენაზე მის მიერ დაწერილი ლექსი წაიკითხა. არიან ადამიანები, რომლებიც თიშავენ და აპირისპირებენ. მე მათ არაკაცებს ვუწოდებ. გოჩა ძასოხოვი აერთიანებს. ეს დიდი მადლია ყოველი ადამიანისთვის.

ძალიან მინდა წაგიკითხოთ ის ლექსი, რომელიც ბატონმა გოჩამ ვლადიკავკაზში ქართველთა და ოსთა შეკრებაზე წაიკითხა:

**„უკვდავებაა სვეტიცხოველი,**
**უკვდავებაა ქართველი ერი,**
**მერე რა ვუყოთ, რომ არსაკიძეს**
**მოსჭრეს სიბრძნისთვის მარჯვენა ხელი...**
**არ იმარხება ხელოვნის ხელი, იგი მარადის კედელზე რჩება...**
**შეხედეთ ტაძარს და დარწმუნდებით, რომ საქართველო არასდროს კვდება!"**

დიდებულია.

სათქმელი ბევრზე მაქვს. ამ დარბაზში უამრავ ადამიანს ვიცნობ. თითქმის მთელი დარბაზი ქართულად ლაპარაკობს. სწორედ ასეთი ადამიანები ვაძლიერებთ ერთმანეთს, ვაშენებთ პოლიტიკოსთა მიერ დანგრეულ ხიდებს - ადამიანურ ურთიერთობებს. სწორედ ამ განწყობით შევქმენით „ქართულ-ოსური მისია", რომელსაც სათავეში ნაღდი კაცი, ოსების დიდი მეგობარი, საქართველოს კულტურის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი ფერდინანდ ლორთქიფანიძე უდგას სათავეში და რომლის წევრებიც ქართული კულტურისა და ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები არიან. ბატონ ფერდინანდ ლორთქიფანიძეს გადაწყვეტილი აქვს, ახალგორში, თავის მამულში, მამაპაპისეულ სახლში ქართველთა და ოსთა ნადიმი მოაწყოს. სწორედ „ქართულ-ოსურმა მისიამ" ცხინვალის ტრაგედიის (ეს საქართველოს ტრაგედია უფრო იყოძ ორი წლისთავზე, 2010 წლის 7 აგვისტოს, თბილისში, კოსტა ხეთაგუროვის პროსპექტზე, კოსტა ხეთაგუროვის ძეგლთან, ძველ თბილისში, ბარათაშვილის ხიდთან, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის წინ მივმართეთ საქართველოს მოსახლეობას, ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, ქვეყნის გარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოს მეგობრებს. იგი ასე დავასათაურეთ: **„ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, ერთმანეთის გარეშე არ გვაქვს მომავალი - ნუ შევწირავთ ჩვენს მომავალს პოლიტიკოსებს".**

ჩვენ მაშინ ვთქვით და დღესაც მინდა გავიმეორო:

**„ჩვენ - ისევ ხალხს, ისევ ქართველებს, ისევ აფხაზებს, ისევ ოსებს, ყველას, ეროვნების მიუხედავად, ვისაც უყვარს საქართველო - შეგვიძლია ერთმანეთი გადავარჩინოთ, ეროვნებაც - ეროვნული თვითმყოფადობაც შევინარჩუნოთ და შევქმნათ სახელმწიფო, რომელიც კავკასიაში მშვიდობის დიდი საყრდენი იქნება".**

ჩვენ მაშინ ვთქვით და დღესაც მინდა გავიმეორო:

**„მივიდეთ ამ დღეებში უზნეო პოლიტიკოსთა მიერ თავსმოხვეულ ომში დაღუპულთა საფლავებთან მთელს საქართველოში: სოხუმსა და მთელს აფხაზეთში, ცხინვალსა და მთელს სამაჩაბლოში, ბათუმსა და მთელს აჭარაში, თბილისსა და საქართველოს ყველა მხარეში" თავი დავხაროთ და მუხლი მოვიდრიკოთ მათი ვაჟკაცობის წინაშე - შენდობა ვთხოვოთ უფალს. ერთმანეთს და დაღუპულთა სულებს და, როგორც იტყვიან, მოვერიოთ არა სხვას, არამედ საკუთარ თავს და ვილოცოთ ერთმანეთისათვის, მშვიდობისათვის, ჩვენი ძმობისა და მეგობრობისათვის, ჩვენი ერთიანობისათვის".** ჩვენ, „ქართულ-ოსური მისიის" წევრებმა, საქართველოში ოსური დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად ეს გავაკეთეთ და ბოლოს ქართულ-ოსური ტრადიციის შესაბამისად, ქართველებმა და ოსებმა მაგიდასთანაც ვუთხარით კაცური სიტყვა ერთმანეთს.

ჩვენ მაშინ ვთქვით და დღესაც მინდა გავიმეორო:

**„ვინც ხელს უშლის ჩვენს ერთობას, ან მომავალში გააკეთებს ამას - ის ფიქრობს მხოლოდ საკუთარ სკამზე და ებრძვის საკუთარ წარსულს, საკუთარ ქვეყანას, მის თვისტომს, საკუთარ ეროვნებას, მისი შვილებისა და მისი ერის მომავალს".**

ჩვენ, მართლაც, არ გვაქვს მომავალი ერთმანეთის გარეშე!

ჯერ კიდევ ომამდე, როცა ვლადიკავკაზში ვალერი გერგიევი მასპინძლობდა, ერთმა ოსმა ჩემს სადღეგრძელოში ასეთი რამ თქვა: **„ვინ გყავთ ქართველებს ოსებზე მეტი ახლობელიო".** მეც დავეთანხმე და ვუთხარი: **„ვინ გყავთ ოსებს ქართველებზე ახლობელი-თქო".** ამ ნათქვამმა მაგიდასთან საოცრად გაგვაერთიანა მაშინ.

ერთი წლის წინათ, როცა ქართულ-ოსურ მისიას ვლადიკავკაზში გოჩა ძასოხოვი მასპინძლობდა, საზეიმო ვახშამზე ასევე მოგვმართა თამადამ. ჩვენი პასუხი იგივე იყო, ეს თემა საოცრად ლამაზად განავრცო ყველასათვის საყვარელმა კაცმა, ლეგენდარულმა სპორტსმენმა, ნამდვილმა ოსმა და ნამდვილმა ქართველმა ლერი ხაბელოვმა.

1988 წელს, როცა ცხინვალის რაიონის მთიან სოფელში ზვავი ჩამოწვა და მოსახლეობა უდიდესი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, მაშინ მე ცხინვალში გახლდით და დღეს მეამაყება, რომ პირველი ავედი გაჭირვებულთა დასახმარებლად. დღესაც თვალწინ მიდგას ერთი ოჯახი, სახლი, რომელიც ზვავში მოექცა, ოჯახის ოთხივე წევრი დაიღუპა, როგორ გამოვგვყავდა დაღუპულები. მაშინ ერთი ოჯახის დაღუპვასაც კი ეროვნულ ტრაგედიად აღვიქვამდით და გლოვის დღეები გამოცხადდა ქვეყნის მასშტაბით. ვიმეორებ, რომ კარგად დავფიქრდეთ, ერთი ოჯახის დაღუპვაც კი 1988 წელს ეროვნულ ტრაგედიად აღვიქვით. ჩვენი საერთო სირცხვილია, რაც შემდგომ წლებში მოხდა.

1991 წლის იანვარში, როცა პოლიციის გასამხედროებული ნაწილები შეიყვანეს ცხინვალში, ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მათ რიგებში აღმოჩნდა დიდი რაზმი ქუთაისიდან. მე, როგორც ქალაქის ხელმძღვანელი, იმ დღესვე ჩავედი ცხინვალში, სადაც პრაქტიკულად საომარი მდგომარეობა იყო, ღამე ოსურ ოჯახში გავათიე. ძმურად მიმიღო ხუბაევების ოჯახმა.

დილით პოლიციელებს შევხვდი, ყველა ერთხმად ამბობდა, რომ ეს იყო უაზრო ომი, მაგრამ ვერავინ ბედავდა მშვიდობიანი ნაბიჯის გადადგმას, მე ეს გავაკეთე და პოლიციელებთან ერთად დავბრუნდი ქუთაისში. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მე დამსაჯა – თანამდებობიდან გამათავისუფლეს, მაგრამ არაერთი ქართველისა და ოსის ვაჟკაცობით მაშინ ქვეყანა გადაურჩა ფართომასშტაბიან საომარ შეტაკებებს.

ეს ორი მაგალითი მოვიყვანე იმიტომ, რომ თქვენ გააკეთოთ დასკვნა, რამდენად მქონდა მე ყველაფერი იმის თქმის უფლება, ზემოთ რომ მოგახსენეთ. შემთხვევითობა არ არსებობს. ყველაფერი ღვთის ნებით ხდება. ღვთის ნებით შესრულდა ის ორი რამ და სწორედ ამიტომ ვდგავარ დღეს თქვენს წინაშე ასე ამაყად.

არსებობს ორი სიმაღლე: გეოგრაფიული და ფილოსოფიური.

გეოგრაფიულიდან გადმოგდება, ან გადმოვარდნა სიკვდილის ტოლფასია...

ფილოსოფიურიდან რაც უფრო გაგდებენ, მით უფრო მაღლა მიდიხარ.

ჩვენი ურთიერთობები ფილოსოფიურ სიმაღლეზეა და რაც მეტად უნდათ გადმოგდება, მით უფრო გაძლიერდება და გაცილებით მაღალ სიმაღლეზე ავა, ეს უნდა იცოდეს ყველამ, ვინც ჩვენს მეგობრობას ებრძვის.

დასასრულ კვლავ რეზო ამაშუკელს ვუბრუნდები:

**„დიახ, ალანი ვარ და ის ქართველი, ვისაც ძარღვში დედოფალ ბორენუხანის სისხლი დამიდის, ვინც ამაყია დავით სოსლანით!**
**ჩვენ ყველანი, დიდი კაცების, სიტყვის კაცების შთამომავლები ვართ, ამიტომაც დავდოთ ალალი სიტყვა და ვუერთგულოთ ბოლომდე ჩვენსავე ნათქვამს!"**

მე ერთგული ვარ ჩემი სიტყვების. ამ სიტყვების უკან ჩემი წარსული და ჩემი ოჯახი დგას. ჩემი მეუღლის ბებია, ვის ოჯახშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ცხინვალში მუშაობდა, ჩვენი სახლი ისტორიულად ქართველებისა და ოსების დიდი შეკრებების სახლი იყო. ჩემმა სამმა შვილმა: ნესტანმა, ნინომ, გიორგიმ იციან ჩვენი მეგობრობის ფასი. მეამაყება, რომ ახალი პოლიტიკური ძალის „თეთრი მოძრაობა" (თეთრები) დამფუძნებლები და წევრები სწორედ ამ განწყობით ვართ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ უნდა ვილოცოთ ერთმანეთისათვის, ჩვენი ძმობისა და მეგობრობის, ჩვენი ერთიანობისათვის.

ერთი წლის წინათ თრუსოს ხეობაში საქართველო-რუსეთის საზღვარზე ქართველ ხალხთა ასამბლეის ინიციატივით გაკეთდა მემორიალი, რომელზეც ქართულ, ოსურ და რუსულ ენებზე ამოკვეთილია შოთა რუსთაველის სიტყვები:

**„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".**

მწამს და მჯერა, საქართველოში რამდენიმე დღის წინ დაწყებულ ახალ პოლიტიკურ პროცესს, რომელიც ცნობილი მოღვაწის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება - სწორედ ეს პრინციპი აქვს საყრდენად. ჩვენ წინ თბილისსა და ცხინვალში დიდი ცვლილებების და ჩვენი ერთობის კარგი დღეები გველოდება.

მოკლე ხანში ვაპირებ შეხვედრას აფხაზებთან. კარგად ვიცნობ მათ ლიდერს, ბატონ ანქვაბს. გადავცემ იმ განწყობას, რომელიც აქ გულით ვიგრძენი, თვალით დავინახე. მწამს და მჯერა, ქართველები, ოსები, აფხაზები მტერსაც მოვერევით და დროსაც და ჩვენი ურთიერთობით ძლიერი იქნება კავკასია და იამაყებს ცივილიზებული სამყარო.

დასასრულ, უკეთესად ვერ ვიტყვი, ვიდრე ეს რეზო ამაშუკელმა გააკეთა:

**„გილოცავთ ამ დღეებს! ცრემლი მდის და გულწრფელი ვარ მე ამ ცრემლებში! სხვა რომ არაფერი ვთქვა, ღარიბი იქნებოდა მსოფლიო კულტურა „სიმდის" გარეშე! ამ ცეკვის პატრონი ერი დახვეწილია და კეთილშობილი!"**

მე ეს დახვეწილობა და კეთილშობილება კიდევ ერთხელ ვნახე ამ ორი დღის განმავლობაში. დიდი მადლობა ყველაფერი ამისათვის. მუხლს ვიდრეკ და ოსურად გეტყვით:

**ვილოცოთ ერთმანეთისთვის!**
**გვფარავდეს ღმერთი!**

**თეიმურაზ შაშიაშვილი**
ახალი პოლიტიკური ძალა
„თეთრი მოძრაობა" (თეთრები)

**2011 წლის 26 ოქტომბერი**

# უერთმანეთოდ მომავალი არა გვაქვს!

**ქართულ-ოსური მისიის მიმართვა საქართველოს მოსახლეობის, ქართველების, აფხაზების, ოსების, ქვეყნის გარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების, საქართველოს მეგობრებისადმი.**

**ქართველებს, აფხაზებს, ოსებს უერთმანეთოდ არ გვაქვს მომავალი — ნუ შევწირავთ ჩვენს მომავალს პოლიტიკოსებს!**

დღეს, 2010 წლის 7 აგვისტოა.

2 წლის წინათ ცხინვალის რეგიონში და 18 წლის წინათ აფხაზეთში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ფართომასშტაბიანი შეტაკებები. ვცხოვრობდით იმედით... ცოცხლები იყვნენ ის ქართველი, აფხაზი და ოსი ბიჭები, რომელთაც ხვალ და ამ დღეებში, სამწუხაროდ, ხსოვნის სანთლებს დავუნთებთ. ისინი სიცოცხლეშივე იყვნენ გმირები და მათ ამისათვის სიკვდილი არ უნდოდათ — პოლიტიკოსებმა რომ უსაჩუქრეს.

ომი არ უნდოდათ არც ქართველ ხალხს, არც აფხაზებს, არც ოსებს. **ომი** ავანტიურისტი პოლიტიკოსების პურია... **ომი** განდიდების მანიით შეპყრობილ ხელისუფალთა გონებაში იბადება, ვითარდება და იწყება... **ომი** დღეს ხალხისთვის პოლიტიკოსების ნასროლი ტყვიაა.



დიდი ანალიზი არ არის საჭირო იმაში დასარწმუნებლად, რომ ომი ყველამ წავაგეთ — ქართველებმაც, აფხაზებმაც და ოსებმაც... ომით მხოლოდ პოლიტიკოსებმა მოიგეს — ძალაუფლებაზე შეყვარებულებმა ჩვენი და ჩვენი ძმების სისხლით შეინარჩუნეს ჩვენზე ბატონობა.

დღეს ეს პოლიტიკოსები კვლავ ომის ენაზე ლაპარაკობენ... დააკვირდით კონფლიქტის მონაწილე ყველა დიდი და პატარა ქვეყნის, ყველა დიდი და პატარა ერის ხელისუფალნი საკუთარი ქვეყნის და ხალხის გამარჯვებაზე საუბრობენ.

ფრთხილად!

**ომი სწორედ მაშინ იწყება,** როცა ძველი ომის ყველა მონაწილე ქვეყნის ხელისუფლება ფიქრობს არა შენდობაზე, არამედ საუბრობს ომში გამარჯვებულის ენითა და განწყობით.

**ომი სწორედ მაშინ იწყება, როცა ერთი ქვეყნის ხელისუფალი მეორე ქვეყნის ხელისუფალს მშვიდობისაკენ მოუწოდებს, თვითონ კი აგრესიულად აზროვნებს და მოქმედებს, როგორც ეს საქართველოს სინამდვილეში მოხდა.**

**ჩვენ დღეს გვარებით არ ვსაუბრობთ.**

**ჩვენ არავის არ განვსჯით...**

**უფალი განსჯის.**

**ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ:**

- **ჩვენ** — ქართველებს, აფხაზებს, ოსებს უერთმანეთოდ არ გვაქვს მომავალი... და ჩვენ ამას ვამბობთ მაშინ, როცა მთელს მსოფლიოში ძლიერდება აგრესიული სეპარატიზმი, როცა მსოფლიოში და ჩვენს ირგვლივ, საქართველოშიც, უამრავი პოლიტიკოსია, რომელიც სისხლზე აღზევდა და არაერთი ემზადება ამისთვის.
- **ჩვენ** — ისევ ხალხს, ისევ ქართველებს, ისევ აფხაზებს, ისევ ოსებს, ყველას, ეროვნების მიუხედავად, ვისაც უყვარს საქართველო შეგვიძლია ერთმანეთი გადავარჩინოთ, ეროვნებაც — ეროვნული თვითმყოფადობაც შევინარჩუნოთ და შევქმნათ სახელმწიფო, რომელიც კავკასიაში მშვიდობის დიდი საყრდენი იქნება.
- მშვიდობიანი კავკასია ცივილიზაციის სიკეთე იქნება, ომის ქარცეცხლში გახვეული კავკასია კი — მისი, ანუ ცივილიზაციის დანაშაული.
- ჩვენ დღეს ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ის, ვინც ხელს უშლის ჩვენს ერთობას, ან მომავალში გააკეთებს ამას — ის ფიქრობს მხოლოდ საკუთარ სკამზე და ებრძვის საკუთარ წარსულს, საკუთარ ქვეყანას, მის თვისტომს, საკუთარ ეროვნებას, მისი შვილებისა და მისი ერის მომავალს.

მივიდეთ ამ დღეებში უზნეო პოლიტიკოსთა მიერ თავსმოხვეულ ომში დაღუპულთა საფლავებთან მთელს საქართველოში: სოხუმსა და მთელს აფხაზეთში, ცხინვალსა და მთელს სამაჩაბლოში, ბათუმსა და მთელს აჭარაში, თბილისსა და საქართველოს ყველა მხარეში... თავი დავხაროთ და მუხლი მოვიდრიკოთ მათი ვაჟკაცობის წინაშე... შენდობა ვთხოვოთ უფალს. ერთმანეთს და დაღუპულთა სულებს და, როგორც იტყვიან, მოვერიოთ არა სხვას, არამედ საკუთარ თავს და ვილოცოთ ერთმანეთისათვის, მშვიდობისათვის, ჩვენი ძმობისა და მეგობრობისათვის, ჩვენი ერთიანობისათვის.

ვილოცოთ ქართველებმა, აფხაზებმა, ოსებმა ერთმანეთისთვის!

**ჩვენ** არასდროს ერთმანეთის მტრები არ ვყოფილვართ — უნდოდათ, და უნდათ, რომ გვაქციონ ასეთებად...

**ჩვენ** ერთი მიწის და ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ერთი ისტორიული ქვეყნის შვილები ვართ და ჩვენი ბედნიერებაც ამ მიწის ერთგულებასა და ერთიან ძლიერ სახელმწიფოშია.

**ჩვენ** მივმართავთ ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ისტორიული ქვეყნის ყველა მცხოვრებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად მისი ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობისა, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ - ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, ქვეყნის გარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, ჩვენს ნამდვილ მეგობრებს მთელს მსოფლიოში: **პატივი მივაგოთ ჩვენს წარსულს და წინაპრებს, ვიფიქროთ საკუთარი ერის და ჩვენი შვილების მომავალზე, ერთიან, ძლიერ სახელმწიფოზე და მშვიდობიან კავკასიაზე.** ურთიერთშენდობით, ურთიერთპატიებით და სიმდაბლით ავმაღლდეთ

ჩვენ, მართლაც, არ გვაქვს მომავალი უერთმანეთოდ!

გვფარავდეს ღმერთი ერთმანეთისკენ სვლაში!

## ქართულ-ოსური მისიის დამფუძნებლები

**ფერდინანდ ლორთქიფანიძე** — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს კულტურის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი, მისიის თანათავმჯდომარე.

**თეიმურაზ შაშიაშვილი**— გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ახალი პოლიტიკური ძალის „თეთრი მოძრაობა" (თეთრებიძ დამფუძნებელთა საინიციატივო ჯგუფის წევრი.

**ლილი ხურითი** — სოხუმის დრამატური თეატრის მსახიობი, ვერიკო ანჯაფარიძის პრემიის ლაურეატი.

**ნათია ავსაჯანიშვილი** — პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

**დიმიტრი ჯაიანი** — სოხუმის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი, გიორგი შერვაშიძის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, უკრაინის სახელმწიფოს „პრესტიჟის" ორდენის კავალერი.

**ინესა იამანიძე** — პედაგოგი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლის დირექტორი 2006 წლამდე. ამჟამად საავტორო სკოლის დირექტორი.

**შალვა წიკლაური** — ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის EGFM-ის გერმანული სექციის წევრი, ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, დამთავრებული აქვს აკაკი წერეთლის სახელობის მე-19 საშუალო სკოლა (ოსეთშიძ და დაბადებულია სოფელ ქვემო ლარსში.

**ნარგიზა ლომთაძე** — საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის კავშირის წევრი, ღირსების ორდენოსანი, წიგნის — „უკვდავება"(წიგნი ეძღვნება სამაჩაბლოაფხაზეთში დაღუპულთა ნათელ ხსოვნასძ 1-ლი და მე-2 ნაწილის მთავარი რედაქტორი.

**ვასილ კადენეცი** — საქართველოს კაზაკთა უმაღლესი ატამანი, აფხაზეთიდან დევნილი.

**გია ფაცურია** — ჟურნალისტი.

**სანდრო კავსაძე** — იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი. მორჩილი.

**მიმართვა მიღებულ იქნა 2010 წლის 7 აგვისტოს. ტექსტის გაცნობის შემდგომ, ქართულ-ოსური მისიის წევრებმა წმინდა ნიკოლოზის ტაძარში დაანთეს სანთლები და აღვლენილ იქნა ლოცვა შენდობისა და ერთიანობისათვის.**

თბილისი,
7 აგვისტო, 2010 წელი
megobrobismisia@gmail.gom
www.tetrebi.org
ტელ. 832 443446

## ძმებო, ოსებო!

**მეც ალანი ვარ და ის ქართველი, რომელსაც ვერასდროს ააგლეჯენ გულიდან თქვენ სიყვარულს და პატივისცემას! შეჩვენებული მყავს ყოველი, ვინც ჩვენს შორის წყალი აამღვრია.**

**უცოდველი ღმერთია მხოლოდ!**

**სამი შვილთაშვილი მყავს და სამივე ვაჟია. მათ აქედანვე ვუნერგავ თქვენდამი ძმობას!**

**— დიახ, ალანი ვარ და ის ქართველი, ვისაც ძარღვში დედუფალ ბორდუხანის სისხლი დამიდის, ვინც ამაყია დავით სოსლანით!**

**ჩვენ ყველანი, დიდი კაცების, სიტყვის კაცების შთამომავლები ვართ, ამიტომაც დავდოთ ალალი სიტყვა და ვუერთგულოთ ბოლომდე ჩვენსავე ნათქვამს!**

**გილოცავთ ამ დღეებს! ცრემლი მდის და გულწრფელი ვარ მე ამ ცრემლებში! სხვა რომ არაფერი ვთქვა, ღარიბი იქნებოდა მსოფლიო კულტურა „სიმდის" გარეშე! ამ ცეკვის პატრონი ერი დახვეწილია და კეთილშობილი!**

**მე დამანგრია და დამღალა ამ ამღვრეულმა დრომ, თუ უფალი წამიყვანს, ერთი სანთელი თქვენც ამინთეთ, რამეთუ გულით მიყვარხართ და იმედი მაქვს ერთად ვიქნებით!**

გეხვევით,
თქვენი

რეზო ამაშუკელი.
2011 წლის 26 ოქტომბერი



2008 წლის 8 აგვისტოს ომიდან დღემდე განვითარებული მოვლენების შეფასებას, განსაკუთრებით კი იმ ფულის ხარჯვის მიზნობრიობასა და სისწორეს, რომელიც საქართველომ ომის გამო მიიღო, „თეთრები", „თავისუფალი საქართველო" და ტრადიციონალები ამ დღეებში სპეციალურ პრესკონფერენციას მიუძღვნით.

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2012 წლის 11 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ — ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ". აუქციონში გამოცხადებული ობიექტებიდან №2; №10; №14 და №15 სალიცენზიო ობიექტებზე სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №2; №10; №14 და №15 სალიცენზიო ობიექტებზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით:

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | [illegible] | [illegible] | P | [illegible] | [illegible] | [illegible] | 3 |
| 10 | [illegible] | [illegible] | P | [illegible] | [illegible] | [illegible] | 3 |
| 14 | [illegible] | [illegible] | P | [illegible] | [illegible] | [illegible] | 8 |
| 15 | [illegible] | [illegible] | P | [illegible] | [illegible] | [illegible] | 2 |
| [illegible] | | | [illegible] | | | | |
| [illegible] | | | [illegible] | | | | |
| [illegible] | | | [illegible] | | | | |
| [illegible] | | | [illegible] | | | | |

[illegible]

№150. ოთხშაბათი, 8 აგვისტო, 2012 წელი.



## სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

### რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




სამაგიეროდ ბერია იყო არა ოდენ უდიდესი სახელმწიფოებრივი ფიგურა, არამედ ზნეკეთილი კაციც! ის გახლდათ მტკიცე ბოლშევიკი, ოღონდ როგორც გონიერსა და საქმიან ადამიანს, ესმოდა რომ:

1ძ საზოგადოება იდეურად მაშინ კი არ არის ძლიერი, როცა დემონსტრაციებზე „ბელადების“ პორტრეტები მიაქვს, არამედ როცა ეს „ბელადები“ მათგანვე ნაქადაგევი იდეების სახელით ცხოვრობენ „ცოცხლად“, მთიან კურორტებზე კი არ გრიალებენ და ფულებს კი არ ღუნავენ, არამედ გამუდმებით არიან დაკავებული საზოგადოების განვითარების პრობლემებით.

2ძ პოლიტიკური სისტემის სიმტკიცეს, იმისი ნორმალური და არა ექსტრემალური ფუნქციონირების რეჟიმში, განსაზღვრავს ამ სისტემის ეკონომიკური საფუძვლის ოპტიმიზაციის დონე და საწარმოო სფეროს, ვითარცა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისთვის ბაზის, სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების დონე.

3ძ მრავალეროვანი სახელმწიფო ერთიანი მაშინაა, როცა ცენტრალური მთავრობის პოლიტიკა რეალურად გამოაცლის ნიადაგს ნაციონალისტებს ნებისმიერი მათი პროპაგანდისტული ძალისხმევისთვის.

ამ აზრით ბერია მართლაც პრაგმატიკოსი გახლდათ და ამგვარი მიმართულებით დაიწყო მოქმედება სტალინის გარდაცვალებისთანავე. მისი ინიციატივები შთაბეჭდილებას ახდენდნენ როგორც პოტენციალით, ისე საზოგადოების ცხოვრების არსებითად ყველა მხარის მოცვით.

მას ჰქონდა კონკრეტული წინადადებები შემდეგ სფეროებში: აძ სახელმწიფოს მართვა; ბძ ეკონომიკა; გძ თავდაცვითი პოლიტიკა; დძ შიგასახელმწიფოებრივი და ეროვნული პოლიტიკა; ეძ საგარეო პოლიტიკა.

სახელმწიფოს მართვის სფეროში ლავრენტი პავლოვიჩი გეგმავდა მკაფიო კურსს ცენტრალური კომიტეტიდან მინისტრთა საბჭოში ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობის (მასშტაბური თავდაცვითი პროექტების ჩათვლითძ მართვის ცენტრის გადატანაზე...

ხელისუფლების პრიორიტეტებზე სხვადასხვა შეხედულება გამოჩნდა უკვე ბელადის დაკრძალვაზე. მაშინ მავზოლეუმის ტრიბუნაზე სამი გამოვიდა: ბერია, მალენკოვი და მოლოტოვი. სამივე სიტყვა საკმაოდ ერთნაირი გამოდგა ერთობ უფერული ოფიციოზურობით – მათში არ იგრძნობოდა განსაკუთრებული გრძნობები და ბრწყინვალე ადგილები.

მალენკოვი ზედიზედ ხმარობდა ფორმულას „კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა“, მოლოტოვი ხაზგასმით სარგებლობდა ფორმულით „საბჭოთა სახელმწიფო“, პარტია პრაქტიკულად არც უხსენებია, ბერია კი უფრო დაბეჯითებით ლაპარაკობდა „საბჭოთა მთავრობაზე“, თუმცა პარტიისთვის არ იშურებდა „საბჭოთა საზოგადოების წამყვან ძალად“ დარჩენის უფლებას.

წამყვანი, ოღონდ არა ხელმძღვანელი და წარმმართველი; და ლავრენტი პავლოვიჩის აქცენტი საბჭოთა მთავრობაზე საკმაოდ მჭევრმეტყველური გახლდათ. თანაც ეს სწორედ ის იყო, საითკენაც საქმე სტალინსაც მიჰყავდა... ომის შემდეგ იყო, რომ ბელადმა აღიარა – ომმა დაამტკიცა, რომ საბჭოურ საზოგადოებაში ანტისაბჭოთა ელემენტი ნაკლები იყო, ვიდრე „ჩვენ მოგვახსენებდნენო“; და იქვე წამოაყენა წინადადება: „მონანიებაა საჭიროო“ – ხალხის წინაშე, ბუნებრივია...

საჯაროდ მონანიება შეიძლებოდა მხოლოდ სტალინის სიცოცხლეში – ეს ხალხში პატივისცემასა და ავტორიტეტს მოუმატებდა როგორც თვით ბელადს, ისე პარტიას. მისი სიკვდილის მერე მონანიება კი ნიშნავდა ირიბად ამ ავტორიტეტის შებღალვას. მოგვიანებით ხრუშჩოვმა ასეც ქნა, რასაკვირველია, მონანიებით კი არა, არამედ „ტირან“ სტალინზე ყველაფრის გადაბრალებით, თუმცა პარტოკრატისაგან რას უნდა ელოდე, თუ არა ორპირობასა და ფალსიფიკაციებს?

ბერიამ საქმით ამჯობინა გამრუდებებისა და შეცდომების გამოსწორება. ეგ კია, რომ საზოგადოების ცხოვრების ორგანიზების პოლიტიკური რეფორმა იოლ პერსპექტიულ ამოცანად როდი წარმოდგებოდა. აი, ეკონომიკის სფეროში კი ლავრენტი პავლოვიჩის ახალი ინიციატივები გამოიკვეთა ერთბაშად და სავსებით გარკვეულად. ის ყოველთვის მასშტაბურად აზროვნებდა, მისი მმართველური გადაწყვეტილებები შიგადაშიგ მილიონები, ათეულ მილიონობით, ასეულ მილიონობით მანეთი „ღირდა“. მეორეს მხრივ კი ბერია ყოველთვის მოითხოვდა ხარჯვას იმაზე მეტის არა, რაც საჭირო იყო...

ეს ყველას როდი უხაროდა. ისტორიკოსი იური ჟუკოვი წიგნში „სტალინი: ძალაუფლების საიდუმლოებანი“ ლავრენტი პავლოვიჩის ამგვარ რეფორმებში ხედავს რაღაც ეშმაკურ ორმაგ ძირს – ესაოდა, ბერია, უბრალოდ, იშორებდა „მისთვის ზედმეტ საზრუნავებსა და პასუხისმგებლობასო“. რას იზამ... გუბეში ვინ ვარსკვლავებს ხედავს და ვინ – მხოლოდ მღვრიე წყალს.

ბერია ეკონომიური იყო სახელმწიფოს მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვაშიც; ორგანულად ვერ იტანდა მფლანგველობას და მას აქეთ, რაც აუცილებელი ხარჯები ატომურ პროექტში, თერმობირთვული იარაღის შემუშავების ჩათვლით, გაწეულ იქნა, ბირთვული საიარაღე კომპლექსის ხელმძღვანელთაგან დაიწყო ეკონომიის გაწევის მოთხოვნა.

„ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდში მეატომეებს იმ ოდენობებით აძლევდნენ სახსრებსა და მასალებს, როგორსაც ისინი ითხოვდნენ. ერთ ხანს ქვეყანა სამედიცინო სიცხის საზომების უქონლად დარჩა – ვერცხლისწყალი ატომურ პროექტს დასჭირდა. ახლა კი ლავრენტი პავლოვიჩი ითხოვდა ხარჯთაღრიცხვებში ჩატევას. მის ასეთ აქტიურობას კი „დემოკრატები“ და „სსრ კავშირში პოლიტიკური ძალაუფლების მექანიზმების მკვლევარები“, „ანტიბერიული“ პლენუმის მონაწილეთა მიყოლებით, ხსნიან მარტოოდენ თავისთვის იაფფასიანი პოპულარობის შექმნისა და ძალაუფლების დაპყრობის გაადვილების სურვილით.

თანაც იგივე „დემოკრატები“ ამხელენ საბჭოური სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უსაშველო მადას. არადა, კომპლექსის საქმიანობაში ვერა და ვერ დანერგილი პრინციპის „ფულს თვლა შეშვენის“ გატარება ხომ სწორედ ლავრენტი პავლოვიჩს სურდა!..

ბერიას უკანასკნელი დიდი, სავსებით სისტემურად დამუშავებული, მაგრამ ბოლომდე ვერრეალიზებული იდეა გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზების განზრახვა.

შსს-ს ყველა ამოცანას რა ჩამოთვლის, თითქმის მთელი რუსული ალფაბეტი დაგვჭირდებოდა... სერგო ბერია იშვიათად შეიძლება განვიხილოთ, როგორც სარწმუნო ინფორმაციის წყარო, მაგრამ მე მჯერა მისი, როცა ამტკიცებს, რომ მამამისი, „როგორც სპეციალისტი, ფიქრობდა, რომ შსს უნდა ეწეოდეს სამინისტროებისა და უწყებების ინფორმირებას, ეხმარებოდეს მათ ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის გადაჭრაში“.

შემდეგ სერგო ბერია წერს: „კოლოსალური შესაძლებლობების მქონე რესპუბლიკურ შსს-ებს შეეძლოთ ანალიტიკურ ორგანოებად ქცეულიყვნენ და სახალხო მეურნეობის ინტერესებში ემუშავათ. პარტიული აპარატი, რომელმაც ყოველთვის ყველაფერი იცოდა, არასოდეს არ იძლეოდა მომხდარის სრულ სურათს. შსს-ს კი ძალუძდა ამგვარი ობიექტური ანალიზი. – პისტოლეტით ხელში კი არ უნდა დარბოდე, თავი უნდა გაანძრიოო, – ამბობდა მამა“.

დიახაც, ეს ჰგავს სიმართლეს, ვინაიდან გონივრულია. არადა, ყველაზე პირველი ცრუ ოფიციალური ბრალდება, ლავრენტი ბერიას მისამართით გამოთქმული, – ეს იყო „პარტიაზე მაღლა შსს-ს დაყენების ცდა“. ამ დროს კი ის, რომ პარტია თავს ხალხზე ზემოთ აყენებდა, ბერიას ბრალმდებელთა თვალში დანაშაულად არ ითვლებოდა. ეს კი სულ უფრო ხშირად ხდებოდა...

ლავრენტი პავლოვიჩი არ აფასებდა მოლაყბეთ ცკ-დან, თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ პარტიის მნიშვნელობასა და მისი ცენტრალური კომიტეტის როლს ვერ ხვდებოდა...

მიქოიანი ივლისის პლენუმზე ბერიას ბრალს დასდებს ყველა ცოდვაში, მუსავატისტურ ბაქოში ორპირობით დაწყებული (არადა, მან იცოდა, რომ ეს ასე არ არისძ; ოღონდ მიქოიანმა უნებლიედ გადმოსცა საინტერესო რამ (მომყავს მისი სიტყვის გაუსწორებელი სტენოგრამის მიხედვითძ: „როცა ბერია გამოვიდა წითელ მოედანზე ამხანაგ სტალინის კუბოსთან, მერე მე ვუთხარი: შენს სიტყვაში არის ადგილი, რომელიც ყოველ მოქალაქეს აძლევს გარანტიას კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებებისთვის. ეს უბრალო ორატორის სიტყვაშიც არ არის ცარიელი ფრაზა, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლაში ეს მოქმედებათა პროგრამაა, შენ ის უნდა შეასრულო. მან მიპასუხა: შევასრულებ კიდევაც...“

ლავრენტი პავლოვიჩმა მართლაც გააკეთა ამნაირი განცხადება სახელმწიფოს ყველაზე მაღალი საჯარო ტრიბუნიდან და მართლაც დაიწყო დანაპირების ასრულება!

ბერიას იდეებს, ბარათებს, წინადადებებს არ უგულებელყოფდნენ; რა – მალენკოვს, მოლოტოვს, ხრუშჩოვს, ცკ-ის პრეზიდიუმს, მინისტრთა საბჭოს ეშინოდათ მისი? არა, რა თქმა უნდა! უბრალოდ, ეგ ბარათები იმდენად ზუსტი იყო, რომ მათთვის ხელის აქნევა შეუძლებელი ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ წინადადებათა ავტორი გვერდით იყო, უმაღლეს ხელმძღვანელობაში. ამასთან, ლავრენტი პავლოვიჩი მუდამ ანგარიშს უწევდა სკკპ ცკ-ს იმ მომენტებში, როცა ოფიციალურად, არსებული მდგომარეობის მიხედვით, მოითხოვებოდა ცკ-ის სანქცია.

ბერიას, როგორც სახელმწიფოებრივ პიროვნებას, როგორც პასუხისმგებელ და მოქალაქეობრივ კაცს, ბოლოს და ბოლოს, როგორც კაცსა და არა მელანს, არ შეეძლო უქმად ყოფნა მაშინ, როცა ხედავდა, რომ შეუძლია რაღაცის გაკეთება! მას დიახაც, შეეძლო! ის ხომ ფორმალურადაც იყო ახლა მეორე პირი სახელმწიფოში, ხოლო პირადი და საქმიანი თვისებებით – უეჭველად პირველი.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ თავისი 120 დღე ბერიამ, როგორც ყოველთვის, იმდენი იმუშავა, რომ იმის მოღვაწეობაზე მოყოლაც კი ჩემთვის ადვილი როდია – როგორც არ უნდა შეკვეცო მოსათხრობი, მაინც ვრცელი გამოდის; და სულ ვერ ვნახულობ ხელსაყრელ საბაბს ლავრენტი პავლოვიჩის თითქოსდა „სასიყვარულო თავგადასავლების“ თემის შესახებაც, ამიტომაც ჯერ არ შევეხები; მხოლოდ შევნიშნავ: თუკი სულ ვერ ვახერხებ ჩემს თხრობაში ამ თემის ჩასმას, მაშინ, საეჭვოა, რომ „ლპ“-ს ჰქონოდა დრო იმ „გლამურებისთვის“, რომლებიც ასე სიამოვნებითა და საზიზღრად მიაწერეს ჯერ 1953 წლის ივლისის პლენუმზე ცკ-ის მდივანმა შატალინმა, უკვე მერე კი ყველამ, ვისაც არ დაეზარა ბერიაზე ცილისწამება; ლაპარაკია ცილისწამებაზე მისთვის ათეულობით მარტო შეუმდგარი საყვარლის „შეწერით“, რომლებიც მან თითქოს გადასახლებაში გაუშვა დაუთმობლობისთვის, თუმცა მაინც არ დავაყოვნებ ამ ინსინუაციების შეხებას.

სამაგიეროდ, არ შევუდგები „იუგოსლავურ“, „კორეულ“, „უნგრულ“ და სხვა საკითხებში ლავრენტი პავლოვიჩის პოზიციის გარჩევას. უბრალოდ ვიტყვი, რომ ყველა მათგანში, არსებითად, ის სწორი იყო, ხოლო რაც შეეხება „იუგოსლავურ“ საკითხს, ისტორიის ირონია იმაშიც გამოიხატა, რომ 1957 წელს ხრუშჩოვი ადანაშაულებდა მოლოტოვს სწორედ იმ ტიტოსთან ურთიერთობათა გაუმჯობესების ბლოკირებაში, რომელთან დამოკიდებულებათა მოგვარების ცდას 1953-ში ხრუშჩოვიცა და მოლოტოვიც წარმოაჩენდნენ, როგორც ბერიას დანაშაულს.

შემოვიფარგლები ერთი „უნგრული“ ციტატით იმ „ბუნკერული“ წერილიდან, რომელიც ბერიამ გაუგზავნა მალენკოვს: „წინადადებები იმრე ნადის შესახებ მე ან სხვა ვინმეს კი არ უნდა შეგვეტანა, – ეს შენ უნდა გაგეკეთებინა და აქ მე გამოვხტი იდიოტურად; გარდა მაგისა, სწორი შენიშვნების გვერდით, მოურიდებლობაც მომივიდა, ზედმეტებში გადავედი, რისთვისაც, რასაკვირველია, გვარიანი შეხურება მეკუთვნის“.

დამწერი გულისხმობდა 1953 წლის 12 ივნისს შემდგარ შეხვედრას სსრ კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციებს შორის. ციტატის ცოცხალი ტონი თავისთავად მეტყველია, თანაც ეს დაწერა კაცმა, რომელსაც მოულოდნელად გადაუძახეს ძალაუფლების მწვერვალიდან ბეტონის სარდაფში; და ასეთ დღეში მყოფიც საქმეზე, სახელმწიფოზე ფიქრობდა და არა საკუთარ ტყავზე!

განა ეს არ ლაპარაკობს ჩვენი გმირის ძალიან მაღალ სულიერ და ადამიანურ თვისებებზე? როგორც ისიც, რომ 15 ივნისს ბერიამ ბარათით მიმართა ცკ-ის პრეზიდიუმს სსრ კავშირის შსს-თან არსებული განსაკუთრებული თათბირის უფლებათა მკვეთრი შეზღუდვის თაობაზე. არადა, ლავრენტი პავლოვიჩი რომ ყოფილიყო ის სადისტი, მანიაკი, როგორადაც მოძულენი გამოხატავენ, მაშინ მისთვის გამორჩეულად მიმზიდველი და სასიამოვნო იქნებოდა სასამართლოს გარეშე უფლება ადამიანთა ბედისა და სიცოცხლის განკარგვისა...

სანამ ბერია ჯერ კიდევ სახელმწიფო მოღვაწეა და არა ბეტონის ბუნკერის ტუსაღი, მის ასთორმეტ დღეზე მე დამატებით ვიტყვი რაღაცას, არსებითზე მეტს.

თარგმნა
**თამაზ ებანოიძემ**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-149

ოლიმპიადა 2012

# ქართველები ლონდონში



**საქართველოს სპორტული დელეგაციის ყულაბას კიდევ ერთი ჯილდო შეემატა — ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური ვერცხლის მედალი რევაზ ლაშხმა (60) კგ მოიპოვა. სტარტზე ეგვიპტელ საიედ აბდელმონემ ჰამედს სძლია, მეოთხედფინალში ჩვენებური რუსეთელ მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორ ზაურ კურმაგომედოვს დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა იგი.** შარშან დორტმუნდში ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ქართველმა ფალავანმა აზერბაიჯანელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ჰასან ალიევი დაამარცხა. ჩვენმა მეზობელმა მას შემდეგ მოსვენება დაკარგა და ჩვენებურთან ანგარიშსწორების მომენტს ეძებდა. ეს შანსი მას ოლიმპიურ ხალიჩაზე მიეცა, ისევ ნახევარფინალში, მაგრამ ლაშხმა აზერბაიჯანელს ამჯერად წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა — პირველ და მესამე პერიოდებში აჯობა და ფინალში გავიდა. აქ კი ქართველ ფალავანს იაპონელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის რუიტერო მაცუმოტოს მძლეველი ირანელი მსოფლიოს ჩემპიონი ირანელი ომიდ ნოროოზი ელოდა. ამ უკანასკნელმა ევროპის შარშანდელ ჩემპიონ ქართველს ორივე პერიოდი მინიმალური ანგარიშით (1:0, 1:0) მოუგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა. ლაშხს, როგორც აღვნიშნეთ, ვერცხლის მედალი ერგო.

ქართველ „კლასიკოსებს“ მეორე მედლის მოპოვების შანსიც ჰქონდათ, მაგრამ არაობიექტურმა მსაჯობამ ვლადიმერ გეგეშიძეს კვარცხლბეკისკენ მიმავალი გზა გადაუხერგა. 84 კილოში მოასპარეზე ქართველმა ფალავანმა პირველ წრეში ირანიდან აზერბაიჯანში გადმოსული მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სამან აჰმან ტახმასები დაამარცხა, მეორეში უკრაინელ ევროპის ჩემპიონ ვასილ აშიბას აჯობა, მერე იყო კონტინენტის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ ალან ხუგაევთან საჭოჭმანო წაგება — 1:3, 0:3, რომლის შემდეგაც გეგეშიძე დამამშვიდებელში გადაერთო. იქ კი რაც ყაზახ დანიელ გაჯიევთან შეხვედრისას მოხდა, ზნეობის ყოველგვარ ზღვარს სცილდება: მესამე პერიოდში ქართველი იცავდა თავს ჩოქბჯენში, წარმატებითაც, ილეთის დახურვისას მსაჯმა ჩვენებურს ორი ქულაც მისცა, მაგრამ ყაზახებმა გააპროტესტეს და არბიტრებმა უწინდელი გადაწყვეტილება შეცვალეს. გეგეშიძეს შედეგი გააუქმეს და ქულა მეტოქეს მისცეს, რითაც გეგეშიძეს, ფაქტობრივად, ბრინჯაოს მედალი ჯიბიდან ამოაცალეს. რაც შეეხება გურამ ფერსელიძეს (120 კგ), სტარტზე ჩინელი ანდრეს ანტონიო აიუზ ვალენსუელა დაამარცხა, მერე კი ზედიზედ ორი ორთაბრძოლა წააგო: კუბელ ოლიმპიურ და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონ მიჯაინ ლოპეს ნუნიესთან და თურქ მსოფლიოს ჩემპიონ რიზა კაიაალპთან, რითაც შეჯიბრებას გამოეთიშა.




ძალოსნობაში მედლის მოპოვების დიდი შანსი ჰქონდა 105 კილოში მოასპარეზე ძალოსანს გია მაჭავარიანს. წლეულს მან ეროვნული ჩემპიონატი ორჭიდში 417 კილოგრამით მოიგო, ლონდონში კი უკრაინელი ალექსეი ტოროხტი 412 კილოთი გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. მაჭავარიანმა 185 კილოგრამი მხოლოდ მე-3 ცდაზე აიტაცა, აკვრაში კი საწყისი წონა — 220 კილოგრამი ვერ დაძლია და შეუფასებელმა მაყურებლებში გადაინაცვლა. 411 კილოგრამით მეორე ადგილზე ნავად ნასირშელალი (ირანი) გავიდა, 410 კილოგრამით მესამე იყო პოლონელი ბართლომეი ბონკი.



გუშინ მძლეოსნურ ბილიკებზე გავიდა სამგზის ოლიმპიელი დავით ილარიანი. 110 მეტრი თარჯებით მან 13,90 წამში გაირბინა და 62 მონაწილეს შორის 51-ე ადგილით დაკმაყოფილდა.

**ლექსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# რუბიკონს მიუახლოვდნენ

**საბერძნეთის დედაქალაქში 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაში საქართველოს 4 წარმომადგენელი მონაწილეობს. ჯერჯერობით სხვებზე უკეთესი სატურნირო მდგომარეობა აქვს 18-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონ მერი არაბიძეს, თუმცა იგი 4-4 ქულით დაწინაურებულ 9 მოჭადრაკეს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება.** მეწინავეთა შორის არიან ფავორიტები — ამ ასაკში მსოფლიოს ჩემპიონი დეიზი კორი (პერუ), ანასტასია ბოდნარუკი, ალექსანდრა გორიაჩკინა (ორივე — რუსეთი), ნასტასია ზიაზიულკინა. მეორე ჩვენებურს — ნანი უნაფქოშვილს მხოლოდ 2 ქულა აქვს.



ვაჟებში 5 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცნენ იუ იანი (ჩინეთი), ნილს გრინდელიუსი (შვედეთი), სამველ ტერ-საჰაკიანი (სომხეთი) და ალექსანდრ იპატოვი (თურქეთი). დიმიტრი კვარაცხელიამ 2,5, ხოლო შალვა ნადირაშვილმა 2 ქულა მოაგროვა.

მსოფლიო პირველობაზე სულ 13 ტური გათამაშდება.

**გივი გაგუა**

ჩოგბურთი

# ანა ტატიშვილი — ძირითად ბადეში



**22 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა კლასიფიკაციაში 833 ქულა მოაგროვა და რეიტინგში 84-დან 79-ე ადგილზე გადაინაცვლა. ლონდონის ოლიმპიადაზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ ჩვენებური მონრეალში (კანადა) „როჯერს ქაფზე“ ცდის ძალებს, რომლის საპრიზო ფონდია 2.168,400 ლარი. იგი შეჯიბრებაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება. სტარტზე მასპინძელ შერონ ფიჩმანს სძლია — 7:5, 6:1, შემდეგ ამერიკელ ეშლი ვეინოლდს მოუგო — 6:0, 6:2, საკვალიფიკაციო ფინალში კი მსოფლიო რეიტინგით 46-ე ადგილზე მყოფი პოლონელი ურსულა რადვანსკა გაანადგურა — 6:4, 6:0. ამ გამარჯვებით ქართველი ჩოგბურთელი ძირითად ბადეში გავიდა და სარეიტინგო მონაგარს 30 ქულაც შესძინა.**

ასპარეზობის პირველი ნომერია ბელარუსი ვიქტორია აზარენკა, მეორე ნომრად განთესეს პოლონელი აგნეშკა რადვანსკა, მესამე — მარია შარაპოვა (რუსეთი) მთავარი პრიზისთვის, ასევე, იბრძოდნენ კაროლინ ვოზნიაცკი (დანია), ელენა იანკოვიჩი და ანა ივანოვიჩი (ორივე — სერბეთი), და სხვა სახელოვანი ჩოგბურთელები. ანა ტატიშვილი პირველ წრეში ყაზახეთის სახელით მოასპარეზე ქსენია პერვაკს დაუპირისპირდება. ეს ჩოგბურთელი 891 ქულით 72-ეა. შარშან მემფიის ტურნირზე ანამ მას ორ სეტში აჯობა — 6:3, 6:4.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტატიშვილი კლასიფიკაციაში ხუთი საფეხურით დაწინაურდა. დანარჩენ ქართველ ჩოგბურთელთა მაჩვენებლები კი ასეთია: 240-ე ადგილი. მაკა ჩახნაშვილი (240 ქულა), 273. სოფიკო შაფათავა (203), 385. სოფიო ქვაცაბაია (101), 537. ეკატერინე გორგოძე (52), 625. თათია მიქაძე (39), 637. ნათია გეგია (37), 667. ოქსანა კალაშნიკოვა (32), 963. ანი გოგვაძე (11).

საგულისხმოა, რომ ანა ტატიშვილი მონრეალის ტურნირზე წყვილებში მოსინჯავს ძალებს სლოვენიელ ანდრეა კლეპაჩთან ერთად. პირველ წრეში ტაივანელი ჩუანგისა და ჩინელი ჟანის დუეტს დაუპირისპირდება. სოფიო ქვაცაბაია და ეკატერინე გორგოძე გერმანიის 25.000-იან ტურნირში იასპარეზებენ, თამარ ჭალაგანიძე კი ბურსაში (თურქეთი) ქალთა 10.000-იან ტურნირში თამაშობს.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# ძმები — ისევ ერთად

**ტყუპი ძმები — არჩილ და შოთა არველაძეები ფეხბურთელობისას ერთად თამაშობდნენ თურქეთის „ტრაბზონ სფორში“. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ, შოთა მესამე სეზონია, „ქაისერისფორის“ მთავარი მწვრთნელია.** გუნდი ავსტრიულ შეკრებაზე ჰყავდა და აქტიურად ემზადებოდა თურქულ პრემიერლიგაში პირველი მატჩისთვის. ამ სეზონში შოთას გვერდით იმუშავებს მისი ტყუპისცალი არჩილი, რომელიც „ქაისერში“ ახალგაზრდული გუნდების სპორტული დირექტორი იქნება.



# „დილა“ კვიპროსზე

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით შეხვედრას გორის „დილა“ ხუთშაბათს 21 საათზე კვიპროსზე „ანართოსისთან“ გამართავს. ორთაბრძოლას უნგრელი არბიტრი მიჰალი ფაბიანი მოემსახურება. გორელი ფეხბურთელები ჩარტერული ავიარეისით კვიპროსზე გუშინ ჩავიდნენ.

ჩვენი კარაბადინი

# ზაფხული გართულებების გარეშე

**ზაფხულის სიცხე ორგანიზმისთვის სერიოზული გამოცდაა. მით უმეტეს, თუ ადამიანს აქვს ისეთი ქრონიკული დაავადებანი, როგორებიცაა ჰიპერტონია და დიაბეტი. როგორ მოვიქცეთ, რომ პრობლემები არ გვქონდეს?**



### ჰიპერტონიის დროს

**სწორედ ძლიერ სიცხეში ხდება ხოლმე ყველაზე ხშირად ინსულტი და ჰიპერტონული კრიზები. ამას მარტივი განმარტება აქვს. ძლიერი ოფლდენის გამო ვკარგავთ ტენს და მინერალურ მარილებს, სისხლი ხდება უფრო სქელი. ეს კი ზრდის დატვირთვას გულზე და ამან შეიძლება გამოიწვიოს თრომბის წარმოქმნა.**

### უსაფრთხოების წესები:

ნუ გეშინიათ წყლის სმისა. ხშირად შეიძლება მოისმინო რეკომენდაცია, რომ სიცხეში ჰიპერტონიით დაავადებულებმა უნდა შეზღუდონ სითხის მიღების ოდენობა ლამის ერთ ლიტრამდე დღეში. ეს სამართლიანია მხოლოდ შეშუპებებისა და გულის უკმარისობისადმი ძლიერი მიდრეკილების დროს. სხვა სიტუაციებში უნდა ვსვათ საკმარისად – ორ, ძლიერი სიცხის დროს კი სამ ლიტრამდე დღეში. მთავარია, რომ სასმელი არ იყოს ცივი – ეს აძლიერებს დატვირთვას გულზე. სასმელი ოთახის ტემპერატურისა არჩიეთ. პამიდვრის და წყლით ოდნავ შეზავებული ხილის წვენი, მინერალური წყალი უგაზოდ. ისინი შეავსებენ დანაკარგებს როგორც სითხისა, ისე მარილებისა.

ნუ გადაიღლებით. ნებისმიერი საქმე, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკურ დატვირთვას, გადაიტანეთ ან დილისთვის, ან საღამოსთვის, როდესაც სიცხე აღარ არის ისე ძლიერი. განსაკუთრებით ცხელ დღეებში ჰიპერტონიკები უმჯობესია არ გამოვიდნენ ქუჩაში 11-დან 19 საათამდე და მით უმეტეს არ იმოგზაურონ გადატვირთული ტრანსპორტით. სახლში, თუ არ გაქვს კონდიციონერი, დილით ნუ წამოიწყებთ ოთახის დალაგებას და ნუ იდგებით ქურასთან. უმჯობესია, ცოტა დავისვენოთ, ხელი მოვკიდოთ ხელსაქმეს ან უბრალოდ ვუყუროთ ტელევიზორს.

თუ დაცხა, არ არის საჭირო ცივი შხაპის მიღება. ტემპერატურის მკვეთრმა ვარდნამ შეიძლება სისხლძარღვების სპაზმი გამოიწვიოს, რაც მხოლოდ გააუარესებს მდგომარეობას. ჯობს შხაპი იყოს თბილი, თუმცა მის შემდეგ ტანი არ უნდა შევიმშრალოთ – კანიდან წყლის აორთქლება ცოტა უფრო გაგვაგრილებს.



და რასაკვირველია, უნდა შევამციროთ მარილის მიღება, მათ შორის ფარული მარილებისაც – ისინი არის ძეხვეულში, კონსერვებში, ნახევარფაბრიკატებში. ასევე უარი თქვით ყავაზე და მაგარ ჩაიზე, ალკოჰოლსა და მოწევაზე.

### დიაბეტის დროს

**მეცნიერებმა მაიოს ამერიკული კლინიკიდან დაადგინეს: დიაბეტიკებისთვის სახიფათოა არა მხოლოდ მწველი სიცხე, არამედ სხვებისთვის ნორმალურად გადასატანი ცელსიუსით 26-29 გრადუსი ტემპერატურა. დიაბეტის დროს გაძლიერებულია ოფლის გამოყოფა, ამიტომ ორგანიზმი ტენს კარგავს ძალიან სწრაფად, ოდნავი გადახურების დროსაც კი. ამან შეიძლება სისხლში შაქრის დონის მკვეთრ ნახტომთან, გაუწყლოებასთან და სითბოს დარტყმასთან მიგვიყვანოს.**

**პრობლემას ართულებს ის, რომ ინსულინი და ზოგიერთი სხვა პრეპარატი, რასაც დიაბეტის დროს გვინიშნავენ, ჰაერის მაღალი ტემპერატურის დროს მალე კარგავენ თავიანთ თვისებებს.**

**თანაც დიაბეტიკების კანი არის ძალიან მგრძნობიარე მზის სხივებისადმი. მათ ხშირად უჩნდებათ დამწვრობა, რაც ინფექციის განვითარებით იმუქრება.**

### უსაფრთხოების წესები:

დაიცავით სმის რეჟიმი. დიაბეტიკებმა სიცხეში უმჯობესია სვან წყალი პატარა ყლუპებით, თუმცა ეს უნდა გააკეთონ თითქმის მუდმივად, საათში რამდენიმეჯერ.

თუ აუცილებელია სახლიდან გამოსვლა, თან იქონიეთ ის პრეპარატები, რომლებიც საჭიროა სისხლში გლუკოზის ნორმალური დონის შესანარჩუნებლად. ისინი უნდა ვატაროთ სპეციალურ გამაცივებელ კონტეინერებში ან თუნდაც სპეციალურ ჩანთა-მაცივრებში. სახლში პრეპარატები შეიძლება ვიქონიოთ ჩვეულებრივ მაცივარში, თუმცა ქვედა თაროებზე, რომ გაყინვის რისკი გამოვრიცხოთ.

ერიდეთ მზეზე დიდხანს ყოფნას, იყავით ჩრდილში, ეცადეთ ატაროთ მსუბუქი, „მსუნთქავი" ტანსაცმელი, რომელიც უნდა ფარავდეს ხელებსა და მხრებს. თუმცა უნდა გვახსოვდეს: ტანსაცმელი ულტრაიისფერი სხივებისგან 100 პროცენტით არ გვიცავს. აუცილებლად წაისვით მზისგან დასაცავი კრემი SPF-ს მაღალი ფაქტორით, თუნდაც ქუჩაში დიდი ხნით არ იყოთ გამოსული.

## ჰიპერტონია ციფრებსა და ფაქტებში

**იმ ავადმყოფების 95 პროცენტს, ვისაც ჰიპერტონია აწუხებს, მისდამი მემკვიდრეობითი მიდრეკილება აქვს.**

ჰიპერტონიკების 5 პროცენტისთვის დაავადება გამოწვეულია დარღვევებით თირკმელების, თირკმელზედა ჯირკვლების ან აორტის არტერიის მუშაობაში.



**ჰიპერტონიას „წყნარ მკვლელს" უწოდებენ,** ვინაიდან იგი ხშირად მიმდინარეობს უსიმპტომოდ მრავალი წლის განმავლობაში, სანამ არ ხდება თვალის სისხლძარღვებში დარღვევების, გულის კუნთის გასქელების და გულის შეტევების, ათეროსკლეროზის, თირკმელების უკმარისობისა და ინსულტის მიზეზი.

**როდესაც არტერიული წნევა მერყეობს ამ საზღვრებში:** ვერცხლისწყლის სვეტის 140-159 და 80-90 მილიმეტრი, ავადმყოფს უსვამენ დიაგნოზს – ჰიპერტონიის პირველი (მსუბუქი) ხარისხი.

**ვერცხლისწყლის სვეტის (160-179 და 100-109) მილიმეტრი და ზევით მეორე (ზომიერი) ხარისხი.**

**ქალების მხოლოდ 58 პროცენტმა და მამაკაცების 37,1 პროცენტმა, ვისაც ჰიპერტონია აწუხებს, იცის თავისი დაავადების შესახებ.**

**ჰიპერტონიის განვითარების რისკის ფაქტორებია:** მარილის დიდი ოდენობით მოხმარება, სიმსუქნე, ჰიპოდინამია, ალკოჰოლის ან ყავის ძალიან დიდი რაოდენობით მოხმარება, მოწევა.

**ჰიპერტონიის გაჩენის ასაკია 40-65 წელი, ძალიან იშვიათად გვხდება იგი 20 წლამდე ასაკის ადამიანებში.**

ინსულტის განვითარების რისკი 2-4-ჯერ უფრო მაღალი აქვთ პირველი ხარისხის ჰიპერტონიით დაავადებულებს, ვიდრე მათ, ვისაც ნორმალური არტერიული წნევა აქვთ.

**3-4-ჯერ უფრო ხშირად აწუხებთ ჰიპერტონია მსუქან, ვიდრე ნორმალური წონის ადამიანებს.**

**ქრონიკული ჰიპერტონიკების 1 პროცენტს აწუხებს ჰიპერტონული კრიზები.**

ЗДОРОВЬЕ

სანთელი

## ფილიმონ ჭიპაშვილი



ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ ღირსეული წარმომადგენელი დაკარგა – 91 წლისა გარდაიცვალა დამსახურებული გეოლოგი, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, ღირსებისა და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენების კავალერი **ფილიმონ ვლადიმერის ძე ჭიპაშვილი.**

ხარაგაულის რაიონის სოფელ ისლარში, მოსამსახურის მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილმა ყმაწვილმა ბავშვობიდანვე გაიგო შრომის ყადრი, რასაც მოგვიანებით ერთ-ერთი პასუხსაგები პროფესიის საფუძვლიანი დაუფლება მოჰყვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე.

მოსკოვისა და ლენინგრადის ლეგენდარული ბრძოლებისას მრავალგზის დაჭრილი და კონტუზირებული ახალგაზრდა სნაიპერი მშვიდობიანობის პერიოდში სხვადასხვა დროს ძვირფას მეუღლე-კოლეგასთან მერი კაპანაძესთან ერთად მუშაობდა მოსკოვის გეოლოგიური სამმართველოს „კარაბლინოს" გეოლოგიურ ექსპედიციაში, „კავკაზნახშირგეოლოგიის" ტრესტის სისტემაში, ტყიბულის გეოლოგიური პარტიის შაორის უბანზე.

აღსანიშნავია, რომ ბატონი ფილიმონი სამეცნიერო მოღვაწეობაშიც გამოირჩეული პიროვნება გახლდათ, რამაც ასახვა ჰპოვა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო ფერდზე და ახალციხის მურანახშირის საბადოებზე წარმოებული გეოლოგიური კვლევებისას, აგრეთვე საიუველირო ნაკეთობათა და მხატვრულ-დეკორატიული ქვების საბადოთა გამოვლინება-შესწავლასა და ბოლოს – სამკურნალო მინერალოგიის დარგის ინტეგრირებაში მედიცინასთან და განათლების სისტემასთან. ალბათ, სტუდენტთა თაობებს დღესაც ახსოვთ მის მიერ წლების განმავლობაში რუდუნებით წაკითხული ლექციები თსუ-ში, „სამედიცინოში", ფსიქოლოგიისა და ჩინური მედიცინის ინსტიტუტებში.

სამაგალითო მეოჯახე სამართლიანად ამაყობდა ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წევრებით დახუნძლული მონაგრით.

აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა.

**კოლეგები, მეგობრები**

**თსსუ ფარმაცევტული ფაკულტეტი და საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა**

**გედევან (გედი) პეტრეს ძე გელბახიანი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

---

**ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი და ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი თანაუგრძნობენ თანამშრომელს ანა რუაძესა და მის ოჯახს მამის**

**გურამ რუაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამგეობის წევრი, ცნობილი ეკონომისტი, გულანთებული მამულიშვილი, სანიმუშო მამა და მეუღლე**

**გიორგი (გია) ჯაყელი**

**გამოსვენება 9 VIII, 14 სთ. ქაშვეთის ეკლესიიდან.**

„ჩასაფრებულის" ჩანაწერები

## „აგვისტოს ხუთი დღე"

*ჩამოიყვანეს გარსია ენდი,*
*ჰოლივუდელი ცნობილი ბრენდი –*
*უნიჭო ფილმში რომ ეთამაშა*
*გმირი მკვეხარა, მხდალი და ყბედი.*
*არ გამოვიდა არც ის სურათი,*
*არც ხუთი დღე და არც ჰეპი ენდი...*
*...არ გავიხსენო ცხელ გულზე და ცივი გონებით*
*ის გადაყრილი (მერამდენედ!) მილიონები?..*

რამაზ ილმელი

ინფორმაცია

## ყარაჯალაში 15 წლის გოგონამ თავი მოიკლა

**თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში 15 წლის გოგონამ საკუთარ სახლში სანადირო თოფით თავი მოიკლა. რა გახდა თვითმკვლელობის მიზეზი, ჯერ უცნობია. გამოძიებას თელავის პოლიცია აწარმოებს.**

– შემთხვევის დროს სახლში გოგონა და მისი უმცროსი ძმა იმყოფებოდნენ. ოთახში შესულ ძმას გოგონა იატაკზე უგონო მდგომარეობაში დახვდა, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ყარაჯალას ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ამირან სულეიმანოვმა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში სუიციდის შემთხვევები გახშირდა.

ინტერპრესნიუსი

## წარსულის გამოძახილი

**1990-იან წლებში, უკრაინაში გერმანელთა საძმოს თავმჯდომარეს ჰენრიხ ადლერს ჰიმლერ-მიულერის სახელობითი ბეჭდის შეძენა შესთავაზეს. მერე მან ბორმანის ბეჭედი, მოგვიანებით კი თვით ჰიტლერის რარიტეტიც გამოაჩინა... არტეფაქტების ნაღდობა ექსპერტებმა დაადასტურეს.**

# ბეჭდების მბრძანებლები

სამივე ბეჭედი პლატინისა და ვერცხლისგანაა დამზადებული, ერთნაირი ზომისაა და ერთნაირი ატრიბუტიკა აქვს, რომელიც 1930-1990-იანი წლების გერმანიისთვისაა დამახასიათებელი: მათზე ძვლებიანი თავის ქალა და სვასტიკაა ამოტვიფრული. განსხვავება მხოლოდ გრავირებაშია, რომელიც ბეჭდის მფლობელს მიუთითებს. ჰენრიხ ადლერი ვარაუდობს, რომ ეს ბეჭდები მისტიკური მოქმედებებისთვის იყო განკუთვნილი. საქმე ისაა, რომ ნაცისტური ხელმძღვანელობა ოკულტიზმით სერიოზულად იყო გატაცებული. სხვათა შორის, ასეთ ბეჭდებს მათთვის მხოლოდ ტიბეტში – მსოფლიო მისტიკის ცენტრში ამზადებდნენ.



მაინც როგორ მოხვდა ეს სახელობითი ბეჭდები უკრაინაში?

– როგორც ჩანს, ისინი ომის შემდგომ გერმანიიდან გაიტანეს და ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე სადღაც ინახავდნენ, – ამბობს ბატონი ადლერი. – ცნობილია, რომ ფიურერისა და მისი უახლოესი გარემოცვის კუთვნილი მსგავსი სამკაულები დღესდღეობით უგზოუკვლოდ დაკარგულადაა მიჩნეული. ეს სამი ბეჭედი ნაცისტების „დაკარგული“ განძის მცირედი ნაწილია.

ბატონი ადლერის აზრით, ბეჭდები გერმანიიდან საბჭოთა ან დასავლეთის სპეცსამსახურებმა გაიტანეს. იმ სამი ბეჭდიდან მას ახლა მხოლოდ ერთიღა შემორჩა, რომელზეც ჰიმლერისა და ბორმანის სახელებია ამოტვიფრული.

– დანარჩენები იძულებული ვიყავი იმ ხალხისთვის მიმეცა, ვისაც ისინი წესით და რიგით უნდა ჰქონოდა, – თავს არიდებს პირდაპირ პასუხს ბატონი ადლერი. – ოკულტიზმით დამუხტულ საგნებს ხომ უმძლავრესი ენერგეტიკა აქვთ. თუკი მათი მფლობელი ისეთი კაცი ხდება, ვისაც ეს არ ეკუთვნის, მათ მისთვის უბედურება მოაქვთ. ვიცი შემთხვევა, როცა ახალგაზრდა, ჯანღონით აღსავსე კაცმა ჰიტლერის პისტოლეტი შეიძინა, ორ თვეში კი სანთელივით დადნა. ამიტომ მისი ბედის გარემოების არავითარი სურვილი არა მაქვს. ხოლო რაც შეეხება ჰიმლერ-მიულერის ბეჭედს, საქმეში ჩახედულმა ხალხმა მითხრა, რომ მისი დატოვება შემეძლო და ეს არანაირ საფრთხეს არ შემიქმნიდა.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ჰიმლერ-მიულერის ბეჭედი 1938 წლის 2 ივნისსაა დამზადებული, გერმანიის სსრ კავშირზე თავდასხმამდე ზუსტად სამი წლით ადრე. იგი თითქოს გერმანელი მძიმეწონოსანი მოკრივესთვის მაქს შმელინგისთვის უნდა გადაეცათ, რომელიც იმ დღეს ნიუ-იორკში მეორედ ხვდებოდა „ყავისფერ ბომბდამშენად“ მონათლულ ჯო ლუისს. გერმანელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისევე, როგორც მანამდე ორი წლით ადრე, შმელინგი ლუისს კვლავ ნოკაუტით მოუგებდა, მაგრამ ამჯერად პირიქით მოხდა – ჰიტლერის საყვარელი მოკრივე თავად აღმოჩნდა იატაკზე ბრძოლის დაწყებიდან რაღაც ორ წუთში. მსოფლიოში გერმანელი მოკრივის მარცხი ნაციზმზე გამარჯვების სიმბოლოდ აღიქვეს, გერმანია შეურაცხყოფილი დარჩა, შმელინგის განდიდებას კი ერთიანად მოეშვნენ.

ზაპოროჟიელი ვლადიმერ შოვკუნი კი ძველებურ ფასეულობებს აგროვებს და ნახევარი საუკუნის მანძილზე 7 ათასზე მეტ ძველებურ ნივთს მოუყარა თავი, რომელთა შორის ბევრია ფასდაუდებელი ეგზემპლარი. მაგალითად, სიდიდით მსოფლიოში მესამე ოქროს ურდოს მონეტების კოლექცია. მათგან პირველი, რომელიც 480 მონეტას შეიცავს, ყაზანის ერთ-ერთ მუზეუმშია დაცული, 236 მონეტა სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟში ინახება, მესამე კი, რომელშიც 210 მონეტაა, თავად ვ.შოვკუნის კუთვნილებაა. მასში უნიკალური ნავისებრი გრივნაც კი არის, რომელიც ვოლგაზე მხოლოდ ორად-ორი ცალი ნახეს, დნესტრისპირა შლამში ზაპოროჟიელმა მხარეთმოცდნემ კი ერთბაშად ექვს ცალს მიაგნო! მე-14 საუკუნეში მოჭრილი ვერცხლის „კუპიურა“ 204 გრამს იწონის. ისტორიკოსები ამბობენ, რომ ურდოელები ასეთ ზოდებს სახელდახელოდ ადნობდნენ რუსეთში აკრეფილი ხარკიდან, ხოლო თავის დროზე ამ გრივნით 100 მონის ყიდვა შეიძლებოდა!

მაგრამ, ვ.შოვკუნის კოლექციის ნამდვილი მშვენება მაინც მონღოლ-თათრების ყაენის აბდალაჰის ბეჭედია, რომელიც მხარეთმცოდნემ ჯერ კიდევ საბჭოთა დროს იპოვა. 9-გრამიანი ბეჭდის ექსპერტიზა ერმიტაჟში ჩაატარეს და როცა კი გაირკვა, თუ ვის ეკუთვნოდა იგი, ბატონმა შოვკუნმა ის, სხვა ნაპოვნებთან ერთად, სამხარეო მუზეუმს გადასცა.

თავის ნადავლს ზაპოროჟიელი მხარეთმცოდნე მუზეუმს ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე გადასცემდა, მაგრამ ყოველ ჯერზე მას ეუბნებოდნენ, რომ ასე არ შეიძლებოდა და წმინდა წყლის სიმბოლურ კომპენსაციებს უწერდნენ ხოლმე. კერძოდ, აბდალაჰის ბეჭედში მან... 2 მანეთი და 60 კაპიკი მიიღო (?!ძ.

**ნინო ალექსანდრია**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### პოლიტიკური „ჩისტკები“ ყაზბეგში

ყაზბეგში კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები სამსახურიდან გაათავისუფლეს. აქტივისტებს, რომლებიც გადაადგილდებიან, ბოლო ათი დღის განმავლობაში პოლიცია აჯარიმებს. სამსახურიდან გაათავისუფლეს ჯაბა გომიაშვილი, რომელმაც 1 ივლისს მყინვარწვერზე „ქართული ოცნების“ დროშა აიტანა და გუდაურში მაშველად მუშაობდა. „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის გამო გუდაურის ერთ-ერთი სასტუმროდან გაათავისუფლეს გიორგი წამალაიძე, განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების გამო დაატოვებინეს სამსახური ყაზბეგის საავადმყოფოს ექიმს დიანა ავსაჯანიშვილს და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსს ციცია ქაწანიშვილს.

„ახალი თაობა“

### ალავერდში სააკაშვილი პატრიარქს შეეკამათა?

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ალავერდში გამართული დახურული შეხვედრის დროს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კათოლიკოს-პატრიარქს დაუპირისპირდა. – პრეზიდენტმა უწმინდესი ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ხმამაღლა ყვიროდა. ძალიან გაბრაზებული იყო. პატრიარქს ხელიც კი მოჰკიდა, არაფერი შეგეშალოსო, – აცნობა ერთ-ერთმა თვითმხილველმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

„ახალი თაობა“

### „ახალაია ჩაკეტილია... თათბირებსაც აღარ ატარებს“...

– ეუბნება „ალიას“ უფლებადამცველი ლალი აფციაური, – იგი კადრების გადინების შეჩერებას პრემიებითა და ხელფასების მომატებით ცდილობს. სამინისტროს 5000-მდე თანამშრომელს სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაუწერა. 5000-ზე მეტი ან ნაკლები უკმაყოფილო თანამშრომელი იცით, რას ნიშნავს? ორჯერ მეტ გამოტანილ ინფორმაციას. თითო კაცს ორი ინფორმაცია ხომ მაინც ექნება? პირველწყაროდან ინფორმაციის მოსმენა რას ნიშნავს, ეს იცით, ალბათ. ჰოდა, შედეგიც გათვალეთ.

„ალია“

### საბერძნეთიდან 600 ათას ქართველს გამოყრიან?!

მართალია, საბერძნეთში ყველაზე მეტი არალეგალი აფრიკიდან, არაბეთიდან და პაკისტანიდან შედის, მაგრამ ამ ქვეყანაში ძალიან ბევრია საქართველოდან გაქცეულიც. არაოფიციალური ინფორმაციით – 600 ათასი. – უკვე ყრიან არალეგალებს, – ამბობს ათენში მცხოვრები ქართველი ია ჯოხარიძე, – პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია, უკვე გვითხრეს, რომ ხელფასები აღარ მოგვეცემათ ხელზე, პირდაპირ გადაირიცხება ბანკში. ეს იმას ნიშნავს, რომ ველარავინ ველარ დაიმალება. აქ იმდენი არალეგალია, ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ ბერძნები მართლები არიან, რაც აქ ხდება...

„ალია“

### ახალგორში შესვლა, შესაძლოა, გამარტივდეს

თბილისის დე ფაქტო ადმინისტრაციამ დე ფაქტო საზღვარზე გადაადგილებასთან დაკავშირებით პროექტი შეიმუშავა, რომლის განხილვაც დე ფაქტო პარლამენტში ახლაც მიმდინარეობს. პროექტი საზღვრის გადაკვეთის გამარტივებას ითვალისწინებს. თუმცა, მიიღებს თუ არა დე ფაქტო ხელისუფლება ამას ძალაში, ამ დრომდე უცნობია. ამ დროისთვის დე ფაქტო საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ სპეციალური საბუთით არის შესაძლებელი.

„რეზონანსი.

## ანეკდოტები

– ბაბუ, სკოლაში თუ ხარ ნამყოფი?

– რავა არა, შვილო, მამაშენის გადამკიდე, ყოველდღე არ მიბარებდნენ სკოლის დირექტორთან?

* * *

ტელეფონი რეკავს. მეგრელი უსიტყვოდ იღებს ყურმილს.

– ვისი ბინაა? – კითხულობს ქალი.

– თქვენი აზრით, ვისი ბინა იქნება ჩემს ოჯახში?

* * *

მანასემ მანდარინის ნერგები იყიდა.

– რად გინდა მაგი? – ეკითხება მეზობელი.



– რავა რად მინდა, დავრგავ და მომესწრება.

– მაშინ უკუღმა ჩარგე და, მიწაში რომ ჩახვალ, გამოსხმული დაგვხვდება.

* * *

მიხო მარომ წყაროზე გაგზავნა, წყალი მოიტანეო. მიხოს დოქი გაუტყდა და უწყლოდ დაბრუნდა.

– რა გიქნია ეს, დოქი როგორ გატეხე? – აწივლდა მარო.

– გამიტყდა და რა ვქნა, კაცო?

– როგორ გაგიტყდა, როგორ გაგიტყდა! – უკვე კივის მარო.

გამწარებული მიხო სახლში შევიდა, მეორე დოქი გამოიტანა, მიწაზე დაახეთქა და მაროს მიაძახა:

– როგორ და, ასე გამიტყდა!

* * *

– საითაა, აქვსენტი, თუ იცი, აი ერაყი? – ეკითხება ოლღა ქმარს.

– რა ვიცი, ქალო, ნიგოეთს აქეთ რომ არაა, ნაღდია, იმას იქით კი მე არ ვარ ნამყოფი.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77; 599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24